

ახალი ივერია

მაგი 2025
N.08

ზაზა ბიბილაძე
გმირები ყოველთვის
იბრძვიან

გუგა სულხანიშვილი
"გაუკად, როგორც ავან გაუკადო!"

ტიმოთი ბლაუველტი
სახელმწიფო აქტივები და
დემოკრატია თანამედროვე
საქართველოში



ახალი ივერია

“ახალი ივერია” - საზოგადოებრივ პოლიტიკური ჟურნალი

გამომცემელი:

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

მთავარი რედაქტორი: ზაზა ბიბილაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ქეთი ქურდოვანიძე

დიზაინი: ანი გველესიანი

დაკაბადონება: ლაშა გაბელია

ნომერზე მუშაობდნენ:

შამილ შუგაევი

კოკა თოფურია

ლაშა გაბელია

გიორგი ხარებავა

გიგა ჯოხაძე

© 2025 “ახალი ივერია”

ყველა უფლება დაცულია

ჟურნალი გამოიცემა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის, საქართველოს უნივერსიტეტისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

ტირაჟი 1000 ცალი

www.akhaliiveria.ge



ევროპის
ცენტრი

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული
კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი



FRIEDRICH NAUMANN
FOUNDATION For Freedom.
South Caucasus



Auswärtiges Amt



www.akhaliiveria.ge

„ბოლოში გმირები
ყოველთვის იმარჯვებენ.
და თუ ისინი არ
იმარჯვებენ, ესე იგი,
ეს ჯერ ბოლო არ არის.“

დანის პრემიერ-მინისტრი, მეტე ფრედერიკსენი.
კიევი, 2025 წლის 24 თებერვალი



6



ზაზა ბიბილაშვილი
საში გაკვეთილი კოვიდის განხილვით

მეხსიერება

22



ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური ქრონიკები

მეხსიერება

8



აიდან იუსიფი, ნათია მიხელიძე
სანქციებისგან თავის პირიქება:
როგორ მონაწილეობს საქართველო
რუსეთის სამხედრო მომარაგების ჯაჭვში

ჟურნალისტური გამოძიება

42



გიგი გიგინეიშვილი
გუმისთვის ბრძოლა

აფხაზეთი

15



ელენე ებანოიძე
ევროპის როლი და არჩევნები

სტუდენტური სვეტი

67



ამირან ფაჩუაშვილი
ქედებზე ნანახი ნიშნები

უკრაინა

21



მიხეილ ანთაძე
ანდროუბები

მხატვრული ისტორია

82



ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური ქრონიკები

მეხსიერება

6



ზაზა ბიბილაშვილი
სამი გაკვეთილი კოვიდის განხილვით
მეხსიერება

22




ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური ქრონიკები
მეხსიერება

8



აიდან იუსიფი, ნათია მიხელიძე
სანძვლებისგან თავის არიდება:
როგორ მონაწილეობს საქართველო
რუსეთის სამხედრო მომარაგების ჯაჭვში
ჟურნალისტური გამოძიება

42



გიგი გიგინეიშვილი
ბუმისთვის ბრძოლა
აფხაზეთი

15



ელენე ებანოძე
ევროპის როლი და პრევენები
სტრუქტურული სვეტი

67



ამირან ფაჩუაშვილი
ქედღებზე ნანახი ნიშნები
უკრაინა

21



მიხეილ ანთაძე
ანდროუაგები
მხატვრული ისტორია

8



აიდან იუსიფი, ნათია მიხელიძე
სანძვლებისგან თავის არიდება:
როგორ მონაწილეობს საქართველო
რუსეთის სამხედრო მომარაგების ჯაჭვში
ჟურნალისტური გამოძიება

სარჩევი

6

ზაზა ბიბილაშვილი
სამი გაკვეთილი კოვიდის
განიხივით

მეხსიერება



8

აიდან იუსიფი, ნათია მიხელიძე
სანაშენებისგან თავის აკრძება:
როგორ მონაწილეობს საქართველო
რუსეთის სამხედრო მომარაგების
ჯაჭვში

ჟურნალისტური გამოძიება



22

ამირან ფაჩუაშვილი
კედლებზე ნანახი ნიშნები

უკრაინა



32

მიხეილ ანთაძე
ანდროუშაგები

მხატვრული ისტორია



34

ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური
ქრონიკები

მეხსიერება



67

ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური
ქრონიკები

მეხსიერება



6

ზაზა ბიბილაშვილი
საში გაკვეთილი კოედიოს
გარნიჩით

მეხსიერება



34

ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური
ქრონიკები

მეხსიერება



42

გიგი გიგინეიშვილი
გუბისთის ბრძოლა

აფხაზეთი



22

ამირან ფაჩუაშვილი
კედებზე ნანახი ნიშნები

უკრაინა



22

ამირან ფაჩუაშვილი
კედებზე ნანახი ნიშნები

უკრაინა



34

ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური
ქრონიკები

მეხსიერება



სარჩევი

6

ზურაბ გურული
ვერგააზრების ფასი, ანუ თუ სიკეთე
იღარებს

არჩევნები

63



ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური ქრონიკები

მეხსიერება

14

გიორგი ასტამაძე
ბრძოლა უცხოურ დიპლომატიურ მისიებთან
და 1921-1922 წლების ბოლშევიკური
საქართველოს დეშავიუ

ისტორიული პარალელები

27



ზაზა ბიბილაშვილი
სამი გაკვეთილი კოლეიოს გაგნებით

მეხსიერება

32

აიდან იუსიფი, ნათია მიხელიძე
სანქციებისგან თავის აკრძება:
როგორ მონაწილოებს საქართველო
რუსეთის სამხედრო მომარაგების ჯაჭვში

ჟურნალისტური გამოძიება

54



ელენე ებანოძე
ევროპის როლი და არჩევნები

სტუდენტური სვეტი

56



მიხეილ ანთაძე
ანდროშაპები


მხატვრული ისტორია

63

ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური ქრონიკები

მეხსიერება

25



თამუნა შენგელია
სანსარა

Quo Vadis?

25

თამუნა შენგელია
სანსარა

Quo Vadis?


78



ამირან ფაჩუაშვილი
ქედუბზე ნანახი ნიშნები

უკრაინა

82



ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური ქრონიკები

მეხსიერება

83.6

ზურაბ გურული
ვერგააზრების ფასი, ანუ თუ სიკეთე
იღარჩებას

არჩევნები

83.9

ქეთი ქურდოვანიძე
საგზითაო ჩემოდანი

საზოგადოება

83.14

გიორგი ასტამაძე
ბრძოლა უსუსურ დიპლომატიურ მისიებთან
და 1921-1922 წლების ბოლშევიკური
საქართველოს დედაიუ

ისტორიული პარალელები

83.19

GENZ - ის აზრით

საზოგადოება

83.25

თამუნა შენგელია
სანსარა

Quo Vadis?

83.27



ზაზა ბიბილაშვილი
სამი გაკვეთილი კოვიდის გარეშით

მეხსიერება

83.32



აიდან იუსიფი, ნათია მიხელიძე
სანქციებისგან თავის პირება:
როგორ მონაწილეობს საქართველო
რუსეთის სამხედრო მომარაგების ჯაჭვში

ჟურნალისტური გამოძიება

83.54



ელენე ებანოძე
ევროპის როლი და პრევენები

სტუდენტური სვეტი

83.56



მიხეილ ანთაძე
ანდროუაგები

მხატვრული ისტორია

83.78



ამირან ფაჩუაშვილი
კედლებზე ნანახი ნიშნები

უკრაინა


83.63



ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური ქრონიკები

მეხსიერება


83.82



ლევან გურიელიძე
90-იანი წლების თბილისური ქრონიკები

მეხსიერება


83.68



გიგი გიგინეიშვილი
გუმისთის ბრძოლა

აფხაზეთი

83.87



ნინა ადავიძის ფოტოხალოვნება

6

რედაქცია

GENZ - ის აზრით

საზოგადოება

12



ზაზა ბიბილაშვილი

სამი გაკვეთილი კოვიდის გარეშე

მეხსიერება

14



აიდან იუსიფი, ნათია მიხელიძე

საქმიანობისგან თავის აკრძალვა: როგორ მონაწილეობს საქართველო რუსეთის სამხედრო მომარაგების ჯაჭვში

ჟურნალისტური გამოძიება

21



ელენე ებანოძე

ევროპის როლი და არჩევნები

სტუდენტური სვეტი

24



მიხეილ ანთაძე

ანდროსაგები

მხატვრული ისტორია

27




ლევან გურიელიძე

90-იანი წლების თბილისური ქრონიკები

მეხსიერება

31



გიგი გიგინეიშვილი

გუმბათის ბრძოლა

აფხაზეთი

39



მიხეილ ანთაძე

ანდროსაგები

მხატვრული ისტორია

6



რელაქცია

GENZ - ის აზრით

საზოგადოება

12



ზაზა ბიბილაშვილი

სამი გაკვეთილი კოვიდის გავრცელებით

მეხსიერება

14



აიდან იუსიფი, ნათია მიხელიძე

საქსიზიზისგან თავის აკრძალვა: როგორ მონაწილეობს
საქართველო რუსეთის სამხედრო მომარაგების ჯაჭვში

ჟურნალისტური გამოძიება

21

ელენე ებანოძე

ევროპის როლი და არჩევნები

სტუდენტური სვეტი

24



მიხეილ ანთაძე

ანდროშაპები

მხატვრული ისტორია

27




ლევან გურიელიძე

90-იანი წლების თბილისური ქრონიკები

მეხსიერება

31



გიგი გიგინეიშვილი

გუმისთის ბრძოლა

აფხაზეთი

39



მიხეილ ანთაძე

ანდროშაპები

მხატვრული ისტორია

ბერიკატი ყოველთვის იპარტყვებენ

გაგა ბიბილაშვილი



„ახალი ივერიის“ მერვე ნომერი 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან მალევე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ნომრის მომზადებამ და გამოცემამ ძალიან დაიგვიანა. მიზეზი ადვილი გამოსაცნობია: არჩევნებად წოდებული სპეცოპერაციის შემდეგ - რომლის მთავარი გაკვეთილიც ის იყო, რომ რუსეთი საქართველოზე კონტროლის დაკარგვას და 13 წლის წინ არჩევნებით მოგებულის არჩევნებითვე დათმობას არ აპირებს - საქართველოში ყველანაირი რუტინა დასრულდა და ახალი ეპოქა დაიწყო: ეპოქა საყოველთაო გამოღვიძების, ეპოქა გააზრების და გაცნობიერების, ხანდახან - აღიარებისაც. მას შემდეგ, რაც 28 ნოემბერს ივანიშვილის რეჟიმმა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაზე ფაქტობრივი უარი განაცხადა, რამაც გააქარწყლა კანტიკუნტად შემორჩენილი ილუზიები „ოცნების“ მიზნებისა და მოტივების შესახებ, ქართული საზოგადოების ცხოვრება ერთ დიდ, დაუსრულებელ ფორსმაჟორად იქცა. მუდმივი, სადღელამისო შფოთი, აღტყინება, ორომტრიალი, ფიქრები გაცოცხლებულ ისტორიასა და ბუნდოვან მომავალზე...

ამ ვითარებაში ვის სცალია გრძელი ტექსტების საწერად, ან ვის სცხელა მათ წასაკითხად? 1921 წლის რუსული ოკუპაციიდან 100 წლის შემდეგ ისევ დადგა მომენტი, როდესაც ინტელექტუალური, შორეულ შედეგზე გათვლილი ბრძოლის მეთოდები თავისუფლებისთვის - სწორედ თავისუფლებისთვის და არა ევრო-ინტეგრაციისთვის ან უბრალოდ ახალი არჩევნებისთვის - ფიზიკურმა ბრძოლამ უნდა ჩაანაცვლოს. შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს ჩვენი ისტორიის ის ეპიზოდი, როდესაც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა თავის სტუდენტებს წიგნის გვერდზე გადადებისა და იარაღით ხელში სამშობლოს დაცვისკენ მოუწოდა.

ქართული საზოგადოების ცხოვრება ერთ დიდ, დაუსრულებელ ფორსმაჟორად იქცა. მუდმივი, სადღელამისო შფოთი, აღტყინება, ორომტრიალი, ფიქრები გაცოცხლებულ ისტორიასა და ბუნდოვან მომავალზე...

რეალისტებისთვისაც კი მოულოდნელად, ისეთ ვითარებაში აღმოვჩნდით, რომ აზრებსა და ემოციებს წინადადებები კი არა, შორისდებულები გადმოსცემენ. როგორც ერთმა კეთილსინდისიერმა ქართველმა ინტელექტუალმა ამოთქვა, ამხელა უსამართლობის შემყურემ, „დღეს ყველა წესიერი ქართველი იგინება“. მართლაც, დღეს იმდენად აშკარაა ყველაფერი, რომ ტრადიციული, კონვენციური წესები აღარ მოქმედებს. თითქოს დებატებმაც აზრი დაკარგა, რადგან რაციონალურ მსჯელობას უშუბლისძარღვო, გლუვი პროპაგანდა უპირისპირდება, რომელიც ერთსა და იმავე დახეპირებულ სიშლეგეს იმეორებს, ყველანაირი მაგალითის თუ კონტრარგუმენტის პასუხად.

გვიმტკიცებდნენ, რომ დაქუცმაცება სჯობს საერთო საქმისთვის გაერთიანებას (მიუხედავად იმისა, რომ, მათივე თქმით, ეს არჩევნები კი არა, რეფერენდუმი იყო) და რომ თურმე რეჟიმი არჩევნებს „ვერ გააყალბებს“ (რითიც ნებსით თუ უნებლიეთ რეჟიმის გასაკეთებელი საქმე კეთდებოდა).

მანამდე კი... მანამდე იყო მონუმენტური მასშტაბის პოლიტიკური და მოქალაქეობრივი კრახი, როდესაც პარტიული, მედია და არასამთავრობო „ელიტები“ კამპანიურად, დასპონსორებული ვიდეორგოლებითა და ყოვლისმცოდნე სახეებით გაკეთებული კომენტარებით რა აძლევდათ ამის მტკიცებისა და მოუკლავი დათვის ტყავის გაყოფაზე ფიქრის საფუძველს? არც არაფერი. სრულიად არაფერი! როცა საშუალოსტატისტიკური მოქალაქე ამაზე მიუთითებდა (მესმის, რომ ასეთების ხმა „ელიტების“ ოლიმპიურ სიმაღლეზე ყოველთვის ვერ აღწევს, თანაც, ეს უკანასკნელნი ხომ „კვლევებით“ ხელმძღვანელობენ, რასთანაც რიგითი მოქალაქის აზრი, ისტორიის ცოდნა და საბაზისო ეთნოფსიქოლოგია, განა, რა მოსატანია?), მათ პასუხობდნენ - აბა, ხალხს ხომ არ ვეტყვით, გაყალბდებაო?! ნუთუ მართო თქვენი მონა-მორჩილი ხედავს ამ პასუხში ინტელექტუალურ

ისეთ ვითარებაში აღმოვჩნდით, რომ აზრებსა და ემოციებს წინადადებები კი არა, შორისდებულები გადმოსცემენ.



როგორც ერთმა კეთილსინდისიერმა ქართველმა ინტელექტუალმა ამოთქვა, ამხელა უსამართლობის შემყურემ, „დღეს ყველა წესიერი ქართველი იგინება“.

არაკეთილსინდისიერებას? არა, არ უნდა უთხრა, რომ გაყალბდება! მაგრამ არც ის უნდა უთხრა, ვერ გაყალბდებაო. როგორ უნდა აიღო პასუხისმგებლობა იმაზე, რაზეც ნულოვანი კონტროლი გაქვს? გარდა ამისა, „ვერ გაყალბდება“ იმთავითვე ან ტყუილია (თუ იცი, ვისთან და რასთან გაქვს საქმე), ან - სიბეცე (თუ მართლა ასე ფიქრობ, რა შემთხვევაშიც რეალობის აღქმისა და კრიტიკული აზროვნების უნარი გქონია დაკარგული და არც ამ ბრძოლისთვის ხარ მარგი). მაგრამ ეს ადამიანები დარწმუნებულნი არიან, რომ „ხალხზე“ უფრო ქვეიანები არიან, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ემპირიულად არ დასტურდება...

როგორც ერთი, არც თუ ისე პოპულარული, ამერიკელი პოლიტიკოსი იტყოდა ორი ათეული წლის წინათ, თუ ერთი პროცენტი შანსი მაინც არსებობს, რომ რაღაც ცუდი შეიძლება მოხდეს, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ეს ცუდი აუცილებლად მოხდეს. მართლაც, ნებისმიერი პასუხისმგებლობიანი ადამიანის (მით უმეტეს, ისეთის, რომელსაც ქვეყანაზე ზრუნვის პრეტენზია აქვს) ვალია, უარესი სცენარისთვის მოემზადოს და გეგმა „ბ“ ეგულებოდეს შავი დღისთვის. ჩვენ კი მოწმენი გავხდით სრული მოუმზადებლობისა, რაც, უკეთეს შემთხვევაში, დანაშაულებრივი არაკომპეტენტურობა იყო და რაზეც დღემდე არავის აუღია პასუხისმგებლობა. ალბათ ძალიან ეცინებოდათ ამის შემხედვარე ცესკო-ს თავმჯდომარესა და მის კურატორებს სუსსა თუ პარტიაში (აქ ისიც აღვნიშნოთ, რომ დღეის მდგომარეობით, საქართველოში უკვე ერთპარტიული დიქტატურაა, შესაბამისად, როცა „პარტიას“ ვახსენებთ, იქ მხოლოდ „ოცნება“ იგულისხმება).

შემდეგ იყო დაუნდობელი დარბევები და ასობით პროტესტანტის სისტემური წამება (რამაც ყველას დაანახა, რაოდენ აბსურდული იყო რეჟიმის პროპაგანდა წინა ხელისუფლებასთან შედარებით უკეთესობასთან დაკავშირებით - იმ ხელი-სუფლებასთან, რომელმაც თავისი

თუ ერთი პროცენტი შანსი მაინც არსებობს, რომ რაღაც ცუდი შეიძლება მოხდეს, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ეს ცუდი აუცილებლად მოხდეს. მართლაც, ნებისმიერი პასუხისმგებლობიანი ადამიანის (მით უმეტეს, ისეთის, რომელსაც ქვეყანაზე ზრუნვის პრეტენზია აქვს) ვალია, უარესი სცენარისთვის მოემზადოს და გეგმა „ბ“ ეგულებოდეს შავი დღისთვის.



არსებობის განმავლობაში სულ ორი „დარბევა“ მოაწყო, განსხვავებით ივანიშვილისგან, რომლის ზონდერები ხანდახან დღეში რამდენიმე საჩვენებელ დარბევას აწყობდნენ). ამას მოჰყვა თანამდებობასთან ინტელექტითა თუ პიროვნული თვისებებით გამორჩეულად შეუსაბამო ყოფილი ფეხბურთელის პრეზიდენტად დანიშვნა ოლიგარქი ივანიშვილის მიერ, ქართული სახელმწიფოს შემდგომი დამცირებისა და იზოლაციის მიზნით, ავტორიტარული კანონების მთელი კასკადის დაჩქარებული წესით მიღება თვითმარქვია პარლამენტის მიერ თავისუფლების შემორჩენილი კერების ამოსაქოლად, ახლადშემოღებული კაბალური, რეპრესიული სანქციების ტოტალური გამოყენება ისედაც გაჭირვებულ მოქალაქეთა დასაშინებლად და ეკონომიკურად წელში გასატეხად და ამ პროცესების თანმდევი, რუსული სტილის, ცინიზმით განმსჭვალული პროპაგანდა...

როდესაც ადამიანებმა ოდნავ ამოიხსნთქეს და ამ მოვლენებზე წერის ემოციური მზაობა ოდნავ დაბრუნდა, მსოფლიო ბევრად უფრო დიდი და პოტენციურად დამანგრეველი საფრხის წინაშე დადგა. მიკერძოება რომ არ დამწამოთ, აქვე ვიტყვი, რომ ინაუგურაციამდე დონალდ ტრამპზე ერთი გადაბრუნებული სიტყვა არ მითქვამს და კრიტიკა მხოლოდ მას შემდეგ დავიწყე, როდესაც მისი კატასტროფული რიტორიკისა თუ სვლების კასკადი მსოფლიო წესრიგს დაემუქრა. განა საერთაშორისო სამართლის რღვევა (კანადა ამერიკის შტატი უნდა გახდესო, გრენლანდია ამერიკული ტერიტორია იქნებაო, პანამის არხს დავიბრუნებთ და ლაზიდან 2 მილიონ ადამიანს გავასახლებთ დაბრუნების უფლების გარეშეო) ზუსტად ის არ არის, რაც რუსეთს სწადია? რუსული აგრესიის მიმართ მორალურად და პრაგმატულად გაუგებარი დამოკიდებულება და გაეროში

უკრაინის წინააღმდეგ ხმის მიცემა - რუსეთთან, ბელარუსთან და ჩრდილო კორეასთან ერთად! - არანაირ გონივრულ ახსნას არ ექვემდებარება. იგივე იტქმის ყველა ტრადიციული მოკავშირის გაუცხოებაზე, რაც ამერიკულ რბილ ძალაზე ნებაყოფლობით უარის თქმის ტოლფასია და რუსეთთან საუდის არაბეთში შეხვედრაზე - ევროპის დემონსტრაციული იგნორებითა და მაგიდასთან უკრაინის არმიწვევით. მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში უპრეცედენტო კურიოზად შევა აშშ-ის მიერ მოლაპარაკების დაწყებამდე წინასწარ იმაზე საუბარი, რომ უკრაინამ „ძველ საზღვრებზე“ არ უნდა იფიქროს (რას ნიშნავს „ძველი საზღვრები“?), რომ აღარც ნატოში გაწევრიანების საკითხია აქტუალური და რომ თურმე ერთადერთი სამშვიდობო გეგმა პრეზიდენტ ზელენსკის გადარჩევა და, ამ გამაღიზიანებელი ფაქტორისგან გათავისუფლების შემდეგ, პუტინთან „დალაგება“ ყოფილა (განა ზუსტად ეს არ მოხდა საქართველოში 2012 წელს, თუნდაც ბევრად უფრო ელუგანტური ფორმით?). რას იგებს ამერიკა ცალმხრივი დათმობების პოლიტიკითა და მოლაპარაკების დაწყებამდე აგრესორის ყველა საკვანძო მოთხოვნის გაზიარებით? ამგვარი დამოკიდებულება ხომ ყველა იმ იდეალს ეწინააღმდეგება, რომელსაც ამერიკა ოდითგანვე განასახიერებდა? ეს ვითარება ხომ ამერიკის დაბრუნებულ სიდიადეზე კი არა, ტრამპის ადმინისტრაციის სისუსტესა და საგარეოპოლიტიკურ არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს? შეგნებულად არ ვეხებით ამერიკის შიდა პოლიტიკას. ეს ჩვენი საქმე არ არის. ვსაუბრობთ მხოლოდ იმაზე, რაც პირდაპირ აისახება ევროპისა და საქართველოს უსაფრთხოებაზე.



ამერიკის, როგორც თავისუფლების შუქურის, საძირ-კველში, თომას ფეინის ეპოქალური პამფლეტი - „სალი აზრი“ იდო. დღეს, ამ პამფლეტის გამოქვეყნებიდან 250 წლის შემდეგ, დონალდ ტრამპისა და ელონ მასკის სატელევიზიო შოუების შემყურე, სოციალური მედიისა და პოსტსიმართლის ხანაში, შემზარავად ახლოს ვართ სალი აზრის ეპოქის დასასრულთან. და თუ ასე მოხდა, მაშინ ეს ამერიკის ოქროს ხანა კი არა (როგორც ამას ტრამპი აანონსებს), ამერიკული საუკუნის დასასრულისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დასავლური წესრიგის ნგრევის საწინდარი იქნება.

მოვლენები სწრაფად ვითარდება. „არჩევნების“ თემა რა ხანია, გადაიფარა. „რუსული კანონი“ ახალი, უფრო დრაკონული კანონით ჩანაცვლდა (დიქტატურის პირობებში დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობის მექანიკური გადმონერაც ჩაგვრის ბერკეტი)... „ოცნება“ რუსული მესიტბოქსით გველაპარაკება: სიტყვასიტყვით ერთსა და იმავეს ამბობენ საერთაშორისო ტერორიზმში ბრალდებული კაცებს გენერალი, იგორ გიორგაძე და ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი, ოკუპანტის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, მიხელ გალუზინი და „პრემიერი“ ირაკლი კობახიძე ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით... ფონად, პოლიტიკური პარტიები სულს დაფავენ, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება თვალსადახელშეა უქმდება, ხოლო ყველა პატრიოტი ქართველი ციხეში ჩასმის კანდიდატია, უზურპატორთა ახალი კანონმდებლობით. ამ ვითარებაში, ადგილობრივ არჩევნებზე ფიქრიც კი უზენაესი არაადეკვატურობა ან პოლიტიკური ახლომხედველობაა. დღეს საქართველოს დაკარგული აქვს არა მხოლოდ ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივა, არამედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ქვეყანა რუსული სამყაროს დე ფაქტო ნაწილად, მოსკოვის ვასალად არის ქცეული...

ბევრი ამბობს, დრო იწურებაო. ფატალისტები იმასაც კი ამბობენ, რომ დრო უკვე ამოიწურა. მაგრამ ნუ ვიქნებით აპოკალიპტურნი და დასასრულ დანიის პრემიერ-მინისტრის,

მეტე ფრედერიკსენის, სიტყვები გავიხსენოთ, რომლებიც მან თებერვალში, კიევში ვიზიტისას, წარმოთქვა: „ბოლოში გმირები ყოველთვის იმარჯვებენ. და თუ ისინი არ იმარჯვებენ, ესე იგი ისინი არ იმარჯვებენ, ესე იგი ეს ჯერ ბოლო არ არის.“



ამერიკის, როგორც თავისუფლების შუქურის, საძირკველში, თომას ფეინის ეპოქალური პამფლეტი - „სალი აზრი“ იდო. დღეს, ამ პამფლეტის გამოქვეყნებიდან 250 წლის შემდეგ, დონალდ ტრამპისა და ელონ მასკის სატელევიზიო შოუების შემყურე, სოციალური მედიისა და პოსტსიმართლის ხანაში, შემზარავად ახლოს ვართ სალი აზრის ეპოქის დასასრულთან.

დღეს საქართველოს დაკარგული აქვს არა მხოლოდ ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივა, არამედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ქვეყანა რუსული სამყაროს დე ფაქტო ნაწილად, მოსკოვის ვასალად არის ქცეული...

„ბოლოში გმირები ყოველთვის იმარჯვებენ. და თუ ისინი არ იმარჯვებენ, ესე იგი ეს ჯერ ბოლო არ არის.“

ზურაბ ჭიაბერაშვილი

უზურპაციაზე პასუხი იგივეა: ერთიანობა



რუსმა ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა და მისი ნების აღმსრულებელმა „ქართულმა ოცნებამ“ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მისატაცებლად და ძალაუფლების უზურპაციისთვის საარჩევნო მანიპულაციის უპრეცედენტოდ მასშტაბური სქემა გამოიყენეს (დეტალები იხილეთ ჰანს გუთბროდის სტატიაში). ამ სქემის განხორციელებაში მონაწილეობდა არა მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისია, არამედ სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტი: სუსი, პოლიცია, განათლების სისტემა, მუნიციპალური ორგანოები, სასამართლო. ტრადიციულად, სუსმა და პოლიციამ აქტიურად დაიხმარა კრიმინალური სამყარო.

ძალაუფლებაში მყოფმა ჯგუფმა დაარღვია ხმის ფარულობა და, მეტიც, კამპანია აწარმოა, რომ ხმა არ იყო ფარული, რათა მოსყიდულ და/ან დაშინებულ ამომრჩეველს ვერც კი გაებედა, „41“-ის გარდა, სხვა ნომრის გაფერადება; სრული კონტროლი დაამყარა საარჩევნო ადმინისტრაციაზე, საარჩევნო უბანზე პრაქტიკულად მოშალა მარკირების პროცედურა და საარჩევნო რეგისტრატორების მეშვეობით შესაძლებელი გახადა სხვისი პირადობებით და/ან პირადი ნომრებით (მეტწილად უცხოეთში მყოფი პირების) ხმის მიცემა; ყალბი სადამკვირვებლო ორგანიზაციებით საარჩევნო უბნების შიგნით თავი მოუყარა „ქართული ოცნების“ აქტივს, რომელიც ხელს უშლიდა მიუკერძოებელ დამკვირვებლებს, დაჰკვირვებოდნენ საარჩევნო პროცედურებს და რეაგირება მოეხდინათ მასობრივ დარღვევებზე.

საარჩევნო მანიპულაციის ასეთი მასშტაბი ქართველ ამომრჩეველში აძლიერებს

მანამდე ისედაც ფესვგადგმულ რწმენას, რომ არჩევნების გზით უზურპატორი ოლიგარქის ძალაუფლებიდან ჩამოცილება შეუძლებელია. თუმცა მანიპულაციის ეს მასშტაბი ახალ გამოწვევას წარმოშობს: ევროკავშირში საქართველოს სწრაფი განვითარების მიმართ სკეპტიკოსებს არგუმენტი ეძლევათ, არის თუ არა კანონიერების ევროპული კულტურა საზოგადოებაში, რომლის ათიათასობით წევრი საარჩევნო მანიპულაციის ასეთ მასშტაბურ სქემაში მონაწილეობს.

ივანიშვილის მიერ ძალაუფლების უზურპაცია ასევე შეიცავს საფრთხეს, ისე წარმოჩინდეს „არჩევნების“ შედეგი, თითქოს „ქართული ოცნების“ რუსულმა ნარატივმა გაიმარჯვა, თითქოს ქართველმა ამომრჩეველმა ევროპულ კეთილდღეობას რუსული ჭაობი არჩია. შესაბამისად, თუ უზურპატორი ძალაუფლებას შეინარჩუნებს, საქართველოში რუსული გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება: ევროპული საგარეო-პოლიტიკური კურსის დასრულება ოფიციალურად გაფორმდება, ქვეყნის შიგნით კი მართვა კიდევ უფრო ავტორიტარული და რეპრესიული გახდება. ივანიშვილი ჩათვლის, რომ მას ყველაფერი გაუვა - საქართველოს ეროვნული ინტერესების დალატიდან დანწყებული, მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრული განადგურებით დამთავრებული.

მოვლენათა განვითარების ამ ჯაჭვში ყველაზე დიდი საფრთხე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დე იურე რღვევაა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დე ფაქტო დარღვეულია, მაგრამ დე იურე ის ურღვევია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ლიბერალური წესრიგისა და ამ წესრიგის გარანტორების, შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის საქართველოსადმი განეული პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის გამო.

შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე საქართველო ვერ შეძლებს, ეფექტიანად განახორციელოს რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკა. არის „გლობალური სამხრეთის“ ქვეყნების ნაწილი, რომელიც მხოლოდ იმიტომ არ ექვემდებარება

რუსეთის მხრიდან ზეწოლას, აღიაროს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობა“, რომ ანგარიშს უწევს დასავლეთის პოზიციას. თუ საქართველო დასცილდება დასავლეთს და შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის პოლიტიკური მხარდაჭერა გაქრება, ასეთ ქვეყნებს აღარაფერი შეაკავებს, დაჰყვნიან რუსეთის ზეწოლას.

საარჩევნო მანიპულაციის ასეთი მასშტაბი ქართველ ამომრჩეველში აძლიერებს მანამდე ისედაც ფესვგადგმულ რწმენას, რომ არჩევნების გზით უზურპატორი ოლიგარქის ძალაუფლებიდან ჩამოცილება შეუძლებელია.

მეტეც, თუ რუსეთს დასავლეთი საპირწონედ აღარ ეგულება საქართველოში, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას (რომც დავუშვათ ის აბსურდი, თითქოს რუს ოლიგარქ ივანიშვილს საქართველოს ეროვნული ინტერესი ადარდებს) რუსეთისადმი წინააღმდეგობის რესურსი აღარ რჩება; მოსკოვი შეძლებს, თბილისი ოკუპირებულ რეგიონებთან ურთიერთობის ისეთ სამართლებრივ ხაფანგში შეიყვანოს, რომ საქართველომ დაკარგოს სუვერენიტეტი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე.

ასეთ პირობებში სრულიად დაუშვებელია ივანიშვილის მიერ მიტაცებული ძალაუფლების ლეგიტიმაცია ე.წ. პარლამენტში შესვლით. ეს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით ჩააქრობს უზურპატორისადმი წინააღმდეგობის ყველა ნაპერწკალს, არამედ შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიერ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების არაღიარების პოლიტიკას გამოაცლის საფუძველს და გრძელვადიანად საქართველოს პატრიოტულ ძალებს დაუკარგავს მოკავშირეებს დასავლეთში.

ე.წ. პარლამენტში არშესვლა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა, რომ საქართველომ და მისმა მეგობრებმა პუტინის მოკავშირე უზურპატორს, ბიძინა ივანიშვილს, წინააღმდეგობა გაუწიონ. მოსალოდნელი ეროვნული კატასტროფისგან მხოლოდ ეროვნული ერთიანობა და სამოქალაქო თანხმობა გვიხსნის. როცა ეს ვერ შევძელით და 1991 წელს სამოქალაქო ომი დავუშვით, ამას არა მხოლოდ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული ეროვნული მთავრობის დამხობა, არამედ საქართველოს სუვერენულ ტერიტორიებზე დე ფაქტო კონტროლის დაკარგვა, ქვეყნის ჩაბნელება და მასობრივი ემიგრაცია მოჰყვა.

1991-1993 წლების „სამოქალაქო ომი“ და კონსენსუსის შეუძლებლობა ჩვენი პოლიტიკური ცნობიერების არქეტიპია. „კობახიძის კონსტიტუცია“ ისეა აგებული ან/და რეჟიმის მიერ ისეა ინტერპრეტირებული, რომ ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთვის არ საჭიროებს კონკურენტი პოლიტიკური პარტიების თანხმობას: 76 დეპუტატის შეკრება საკმარისია, პარლამენტმა მუშაობა დაიწყოს.

ეროვნულ ერთიანობასა და სამოქალაქო თანხმობას ინსტიტუციური გაფორმება სჭირდება, მით უმეტეს ახლა, გაფორმებული ავტორიტარიზმისა და მოსალოდნელი რეპრესიების ფონზე.

რეჟიმს ახლად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთვის პოლიტიკურ ძალთა შორის კონსენსუსი რომ მიეჩნია საჭიროდ, არჩევნების გაყალბების ასეთ მასშტაბურ სქემას არ დაგეგმავდა.

ეროვნულ ერთიანობასა და სამოქალაქო თანხმობას ინსტიტუციური გაფორმება სჭირდება, მით უმეტეს ახლა, გაფორმებული

ავტორიტარიზმისა და მოსალოდნელი რეპრესიების ფონზე. უზურპატორის მიერ პრეზიდენტის ინსტიტუტის ხელში ჩაგდების მაღალი ალბათობა ასევე აძლიერებს არგუმენტს საიმისოდ, რომ ხალხის მანდატით აღჭურვილმა ოთხმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ჩამოაყალიბოს ერთიანი სტრუქტურა და ერთ ხმაში ისაუბროს ქართველი ხალხის სახელით ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. სამომავლოდ, დემოკრატიულ სისტემაში დაბრუნების შემდგომ, ეს კვალიციების ფორმირებისათვის მნიშვნელოვანი მაგალითი იქნებოდა.

მოსალოდნელი რეპრესიის ფონზე კიდევ უფრო აქტუალურია იმის განხორციელება, რაც არ განხორციელდა არჩევნებამდე - ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანება.

2024 წლის არჩევნებზე პირველად დაირღვა 12-წლიანი პრაქტიკა, როდესაც ერთმანეთს ორი ძირითადი პოლიტიკური ძალა - „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უპირისპირდებოდა. პროდასავლური პოლიტიკური სპექტრი მრავალსუბიექტიანი გახდა და, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გარდა, კიდევ სამმა პოლიტიკურმა ჯგუფმა მიიღო ამომრჩევლის ნდობის მანდატი. დემოკრატიულ სისტემაში ეს ბუნებრივი მოვლენა იქნებოდა, მაგრამ ძალაუფლების უზურპაციისა და რუსული ტიპის მოსალოდნელი რეპრესიის ფონზე კიდევ უფრო აქტუალურია იმის განხორციელება, რაც არ განხორციელდა არჩევნებამდე - ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანება. გასახსენებელია, რომ ვარდების რევოლუციამ წაშალა ზღვარი იმ პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომლებიც 2003 წლის არჩევნებზე ცალ-ცალკე გავიდნენ, მაგრამ „წვიმაში დგომა“ ერთად მოუწიათ.

იმ პარტიებმა კი, რომლებმაც საერთო ფერხულიდან განზე გადგომა არჩიეს, შეუქცევადად დაკარგეს ელექტორალური მხარდაჭერა.

პარტიული პოლიტიკის გვერდზე გადადება ნამდვილად არაა სიკეთის ნიშანი. რაც უნდა ვიძახოთ - „დროებით!“, „უზურპატორის ძალაუფლებიდან ჩამოცილებაამდე!“, ყოველთვის იქნებიან ისინი, ვინც სამართლიანად აღშფოთდებიან: არაფერია ისე მარადიული, როგორც „დროებითი“ ზომები. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ თუ ივანიშვილის რეჟიმმა პოსტსაარჩევნო რყევას გაუძლო, ოთხი ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფისა და მათი მხარდამჭერებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება 26 ოქტომბერს, თუნდაც

ასე მასშტაბურად გაყალბებულ არჩევნებში, ამ პოლიტიკური ჯგუფების მიერ მიღებული მანდატის ფორმალიზაცია „პარლამენტის“ ალტერნატიულ სტრუქტურად.

უზურპატორ ივანიშვილის საჯარო გამოსვლებიდან ერთ-ერთი საკვანძო ფრაზა „მე ამოვხსენი ადამიანის თვითგადარჩენის ინსტინქტის მოქმედების მექანიზმი, მისი სტრუქტურა“ თავის თავში შეიცავს რეჟიმის თვითგადარჩენის მექანიზმსაც. ეს მექანიზმი ეყრდნობა იმედს, რომ რეჟიმთან მებრძოლი ძალები ვერ შეძლებენ გაერთიანებას. თუ უზურპატორი ამ მთავარ მოლოდინში მოტყუვდა, მისი ძალაუფლებიდან ჩამოცილების შესაძლებლობა ერთიორად გაიზრდება.



ანა ნაცვლიშვილი

გაგაჩვიებას გაუინაა უესაქლეგელი

რთული დრო დგას საქართველოში. არ ვიცი, რა უფრო მტკივნეულია: იმის გააზრება, სად შეიძლება ყოფილიყო ქვეყანა ახლა - ახალი შესაძლებლობებით, რესურსებითა და ჩვენ წინაშე გახსნილი ახალი გზებით, რომლებიც ბოლოს და ბოლოს მოიტანდა სიმშვიდეს ქვეყანაში და ნამდვილობას იმისა, რომ აღარცერთი ბავშვი არ დაიძინებდა მშვიერი, აღარცერთი მოხუცებული არ დაელოდებოდა ნაგვის ურნაში გადაყრილ თბილი ტანსაცმლის თუ საკვების ნარჩენებს, არცერთი მაღალჩინოსანი არ დარჩებოდა დაუსჯელი, თუ უკანონობას გაბედავდა, არცერთ აქტივისტს არ ექნებოდა ფიქრი, რომ სიმართლის თქმის გამო ციხეში გამოამწყვდევენ... ამის გააზრება უფრო მტკივნეულია თუ რამდენად კარგად შეიძლება ყოფილიყო საქართველო ახლა, მაგრამ არ არის და არ არის სრულიად განზრახი მოქმედებების გამო, თუ იმის გააზრება უფრო მტკივნეულია, რომ ადამიანების მნიშვნელოვან ნაწილს ეს არ ესმის ან არ ადარდებს უფსკრული, რომელშიც შეიძლება მთელი ქვეყანა აღმოჩნდეს სულ რამდენიმე თვეში, ან იმდენად დაბეჩავებულია წლებით იგნორირების, სიღარიბის, დამცირების, მოტყუების გამო, რომ გადარჩენის პროცესში თავისი თავის და ხალხის რწმენა დაუკარგავს. როდის დავშორდით ასე ძალიან ერთმანეთს, როდის და ვინ ოხერ-ტიალმა ააშენა ეს კედელი ჩვენ შორის, ვინ ჩაიფიქრა და განახორციელა

ეს დიდი ბოროტება ჩვენ წინააღმდეგ, რომ მამას შვილის აღარ ესმის, დას - ძმის, მეგობარს - მეგობრის, ნათლიას - ნათლულის... როგორ ვერ შევამჩნიეთ ეს საშინელი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც თურმე ამდენი წელი მზადდებოდა, ხოლო ვინც შევამჩნიეთ, წინ ვერ აღვუდექით.

არჩევნების შემდეგ ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, როგორც მთელი ქვეყნის: მარშიდან მარშზე, ღამიდან დილაზე, წამების საქმეებიდან უსამართლოდ დატყვევებული ადამიანების საქმეებამდე, იმედებიდან უიმედობამდე და ისევ ახალ იმედებთან... წარმოუდგენელი ძალა, ერთობა, სიბრძნე, თავგანწირვა პირდაპირ ქუჩაშია გადმოღვრილი და ჩვენ ყოველ ღამე გავდივართ იქ, რომ სიცოცხლის ძალა დავიბრუნოთ, ერთმანეთი დავინახოთ და ვიგრძნოთ, რას ნიშნავს ოდესღაც წიგნის ფურცლებზე ამოკითხული და გამოუცდელი გონების მიერ ბოლომდე ვერგააზრებული სიტყვები - „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზე“.

ბევრი მარშიდან, რომლებზეც ვიყავი, ერთი მაინც განსაკუთრებულად არ მასვენებს: 12 იანვარს თბილისში საბჭოთა რეპრესიების მხვერპლთა ოჯახების მსვლელობა გაიმართა. მე დავდიოდი და მონაწილეებს ვუბნებოდი: ჩვენ უნდა გვერქვას გადარჩენილების მარში, დიას, უნდა ვთქვათ ხმამაღლა, რომ ჩვენი წინაპრები დახვრიტეს, გადაასახლეს, გააძვეს, სურათებიდანაც კი - და შესაბამისად - ისტორიიდან ამოშალეს, მაგრამ ისინი მაინც „გადარჩნენ“ და „გაგრძელდნენ“ - ჩვენ ვართ ამ გადარჩენის ცოცხალი მაგალითები და დღეს ვდგავართ აქ, კვლავ ბრძოლისთვის შემართულნი.

ზუსტად ასე ვგრძნობ თავს, მე რომ ვდგავარ ახლა ისტორიის ამ ქარიშხალში, ზუსტად ვიცი,



რომ მართო ჩემი სახელით და ჩემი ძალით აქ ვერ ვიდგებოდი, ბევრი თაობის სახელით ვდგავარ აქ, სადაც ახლა ვარ! ამას რომ ვამბობდი, ადამიანების თვალეში ვხედავდი სინათლეს და მხნეობას, დიახ, მართლაც გადარჩენილი ვართ და ეს ხმამალა უნდა ვიყვიროთო.

მაგრამ საკმარისია კი ეს? რატომ არ არის არსად, არსად საქართველოში ერთი ადგილი, ერთი მემორიალი, ერთი ქვა, ერთი კედელი, ერთი ქუჩა, ერთი ხე მაინც, სადაც შემიძლია მივიდე და ასობით რეპრესირებულის ხსოვნას და ღვანლს ამ ქვეყნის წინაშე მივაგო პატივი? მივაგო პატივი სასამართლოს გარეშე განაჩენგამოტანილი და საბჭოეთის ტყვეობაში აღსრულებული ჩემი წინაპრის ხსოვნას, რომელსაც საქართველოს სულიერი და მატერიალური საგანძურის შეგროვებისა და მუზეუმის დაარსების, უღმერთოთა კავშირის მიერ შეურაცხყოფილი და ქუჩაში მიმობნეული წმინდანთა ნეშტების გადარჩენის და საეკლესიო იერარქებთან კავშირების გამო დაატეხეს თავს რისხვა, რომელიც სიკვდილიდან 20 წლის შემდეგ რეაბილიტირებულ იქნა, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით „მის მოქმედებებში დანაშაულის შემადგენლობა არ ფიქსირდებოდა“, მაგრამ ის უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო, ხოლო მისი ოჯახი - სრულიად დანოკებული, გამოსახლებული, უნივერსიტეტებიდან გამოყრილი, კეთროვნად შერაცხული და გაუბედურებული... ის რეჟიმის ტყვეობაში გარდაიცვალა, მისი შთამომავლები ცხოვრობდნენ მუდმივი შიშით, რომელიც თანდათან „მოიშინაურეს“ და ჩვევად გაიხადეს - რომ ოჯახის საკითხებზე არ ვსაუბრობთ არავისთან, ხოლო ოჯახში - ორი ტონით ხმადაბლა ვსაუბრობთ. მემკვიდრეობით წესად მერგო მეც ეს ჩვევა - ოთხი თაობის შემდეგაც მგონია, რომ ამ წესის დარღვევა უბედურებას მოიტანს.

რას ამბობს ეს ისტორია საზოგადოებაზე, სახელმწიფოზე, ჩვენს მომავალზე?


და იქნებ ასეთი ფაქტებით, რეპრესიების ისტორიებით, ამ სიცხადით რომ გაგვეჯერებინა ჩვენი წიგნები სკოლებში, ქუჩებით და სკვერებით - ქალაქები და სოფლები, ამ სიმართლით რომ დაგვეწერა კანონები, მემორიალებით გადაგვევსო ხალხმრავალი ადგილები მთელი ამ წლების განმავლობაში, იქნებ, იქნებ ველარ გაებედათ ისევ

**არ ვიცი, რა იქნება
მომავალში, მაგრამ
ვიცი, რომ სანამ
იზრძვი, სოცხანი ხარ!
სანამ წინააღმდეგობას
უნავ უსამართლობას,
სოცხანი ხარ, სანამ
ვარ მოხატულს,
ვარ მოხსნილს,
ვარ დაბრუნდს,
ვარ გახლენდს, ვარ
გაბარუნდს - სოცხანი
ხარ, შიშქნება ნაცხი,
გაზით მოხაზული,
სინჯი გამოხყვადული,
ეროჯით ეზიგრანდი,
მაგრამ სოცხანი, და
როცა სოცხანი ხარ,
გაბარჯვებას მაშინაა
შესაძლებელი.**

დასავლეთის აგენტის წოდება, თან კანონის ძალით (!) რეპრესირებულთა სულიერი მემკვიდრეების და შთამომავლებისთვის?! იქნებ ველარ შემდგარიყო ეს მორიგი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ 100 წლის შემდეგ?!

ამ დღეებში ბევრი ამბობს, და მეც მაქვს განცდა რომ ახალი საქართველო იბადება, უნდა დაიბადოს. ეს მაიმედებს, მაგრამ თან ცოტა მაშინებს. დაბადების პროცესი ყოველთვის ერთნაირი შედეგით არ სრულდება...

არ ვიცი, რა იქნება მომავალში, მაგრამ ვიცი, რომ სანამ იბრძვი, ცოცხალი ხარ! სანამ წინააღმდეგობას უწევ უსამართლობას, ცოცხალი ხარ, სანამ ვერ მოგატყუეს, ვერ მოგისყიდეს, ვერ დაგაშინეს, ვერ გაცდუნეს, ვერ გაგაჩუმეს - ცოცხალი ხარ, შეიძლება ნაცემი, გაზით მოწამლული, ციხეში გამომწყვდეული, დროებით ემიგრანტი, მაგრამ ცოცხალი, და როცა ცოცხალი ხარ, გამარჯვებაც მაშინაა შესაძლებელი.



Зима тревоги нашей - ესეთი წიგნი წავიკითხე ჯეელობაში. ჩემს ძმას ედო სანოლის თავთან, დავინტერესდი და მირჩია. მე მაპატიეთ, ასეთი წიგნები მაშინ მხოლოდ რუსულად იშოვებოდა. The Winter of Our Discontent - ინგლისურად, თუ მაინცა და მაინც. ზამთარი ჩვენი მღელვარებისა, ასეთი სათაურით გამოცემულა ჯონ სტეინბეკის ეს წიგნი ქართულად 2023 წელს. სიმართლე გითხრათ, მაგ ნოველაში სულ სხვა მღელვარებებზეა ლაპარაკი, მაგრამ სათაური პირდაპირ აკვდება ამ ჩვენს ზამთარს.

შფოთები და მღელვარება არ მოგვკლებია ნამდვილად. არც ზამთრებში და არც წელიწადის სხვა დროს, მაგრამ ეს ზამთარი მაინც განსაკუთრებულია. და გეტყვით რითი: არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ამბები და პროტესტები ჩემთვის ისეთი პირადული, როგორც ახლა, მათ შორის არც 1989 წლის აპრილში. ვიდექი ყოველთვის და ყველგან (ყოველგვარი ტრაბახის გარეშე ვამბობ), როდესაც მიმჩნა, რომ საქართველოს დასავლეთთან დაახლოვება ფერხდება ხელისუფლების არასწორი ქმედებების გამო. ვიდექი და ვფიქრობდი, რომ ესა თუ ის ხელისუფლება შეიცვლებოდა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოვება ახალ ძალას მოიკრებდა. აი, ასე, აბსტრაქტულად - ქვეყნის პოლიტიკურ მომავალზე ვფიქრობდი. ამ ზამთარს ჩემში მშობელმა გაიღვიძა. ჯერ ერთი, სრულიად კონკრეტული საფრთხე გაჩნდა, რომ ჩემს შვილებს „სპეცნაზის“ სახელით მოასპარეზე გავშვებული პირუტყვები ფიზიკურად გაუსწორდებიან, ამიტომ სახლში ვერ ვჩერდები. მეორეც, ვერ დავუშვებ, ჩემმა შვილებმა თავისუფლება და პატივყარილ ქვეყანაში იცხოვრონ. ისეთში, როგორშიც მე თვითონ 17 წლამდე ვიცხოვრე. ვერ დავუშვებ-მეთქი ვამბობ, აბა, მე საიდან მაგდენი შეძლება, ეგეთი რამე დავუშვა ან არ დავუშვა, მაგრამ ვიცი, რომ სულ სულ ბოლომდე უნდა დავიხარჯო, ჩემი პირადი მაქსიმუმი გავაკეთო, რომ ეს არ მოხდეს.



ზამთარი გრძელია, ცივი და ხშირად სველი. გინდება თბილ სახლში დარჩენა. კინოს ყურება, ფეხბურთის. ან რავი, არაფრის კეთება თუნდაც. დამალა რუსთაველზე სამსახურივით სიარულმა. ადამიანურია ესეც. სულ მეტი და მეტი ძალისხმევა მჭირდებოდა ერთი ადგილის წამოსაწევად. საკუთარი სურვილი და მშობლის ინსტინქტი ვეღარ იყო საკმარისი. და სწორედ ამ დროს ჩემში შთამომავლის ინსტინქტმა გაიღვიძა. არსოდეს ვმდგარვარ რამე აქციაზე და არ მიფიქრია ჩემს პაპებზე, მშობლებზე, ძმაზე. ჩემთვის ვიდექი, დამოუკიდებლად იმისგან, რა უკეთებიან მათ. და უცებ, ეს განცდა მოვიდა. შემრცხვა მათი. თითოეულმა მათგანმა, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, რუსეთის წინააღმდეგ იბრძოლა. ყველამ თავისებურად, მაგრამ უკლებლივ ყველამ. და ამან ახალი, სრულიად უშრეტი ენერჯია მომცა.

პაპაჩემი სულხან სულხანიშვილი 1904 წელს დაიბადა თელავში. მანდაური ტახტის აზნაურები იყვნენ და ანყურში ჰქონდათ მამულები. იქაური თავადაზნაურობა ძალიან მეგობრობდა ერთმანეთთან და მატნელი ქაქუცაც ხშირად სტუმრობდა თურმე ჩემებს. 1991 წელს მამამ ანყურში მოინდომა მამა-პაპის ადგილებში სახლის ყიდვა და შაბათ-კვირას დავდიოდით ხოლმე საძებნელად. ერთხელ ერთ ბერიკაცს გადავეყარეთ. რომ გაიგო, მამაჩემი სულხანის შვილია, ეგეთი ამბავი გვითხრა: 1921 წლის თებერვალში თქვენთან ბევრი სტუმარი იყო, მათ შორის ქაქუცაც. კარგი ამინდები იდგა და აივანზე ისხდნენო. მიადგაო სულხანი ამ აივანს და მკვახე ლაპარაკები დაუწყო: რუსები შემოდიან და თქვენ აქ უქმად სხედხართ, ღვინოსა სვამთო. ქაქუცას გადმოუძახია, ბალო, გონზე მოდი, რაებსა ლაპარაკობ. წავიდაო სულხანი, შეკრიბა თავისი ტოლა ბიჭები და წავედი მე რუსებთან საომრადო. ქაქუცას და უფროსებს სასაცილოდ არ ეყოთო. პაპა მაშინ 16-17 წლის იყო. იმ დროს სტუმრობა რამდენიმედღიანი იცოდნენ. 3-4 დღეში მობრუნებულა პაპა.

თავჩაქინდრული, დარცხვენილი. რაო, ქაქუცას გადაუძახია, გაყარე რუსებიო? ჭიანჭველებივით მოდიანო, უპასუხია პაპას.

**სოდა ახლას ვინმეს უნდა, რუსებს
შაშაის დაუძახასო? არ გამოძივა.
არ გამოვა ეს აშშ-ში და მოჩხა.
ჩემი დეენებისა ეგა. ჩემი
იღნესოშილ ნაწილისა რუსეთთან
შრძოლას. ეგ კი არა, მე რომ
რამე მოძივიდეს, ზუსტად ვიცის,
ჩემი შვილოები იშრძოლოებენ.
იშრძოლოებენ კი არა, იშრძვიან.**

მერე უკვე 24 წლის აჯანყებაში ქაქუცას გვერდში იყო სულ. ეგ ამბები ზაირა არსენიშვილს აქვს კარგად ნაამბობი „ვაკ სოფელოში“ და აღარ დაგვლით. თელაველმა ისტორიკოსმა თენგიზ სიმაშვილმა ის დილეგიც მაჩვენა, საიდანაც სიკვდილმისჯილმა პაპამ გაქცევა მოახერხა. იქ, კახეთში, ყველაფერი წაართვეს - სახლი, კარი, მიწა, ისედაც აღარ დაედგომებოდა და თბილისში დაიწყო პროკლამაციების გაკვრა. აქაც ძალიან მოუჭირეს და უახლოეს მეგობარ ელიზბარ მაყაშვილთან ერთად ქვეყნიდან გაქცევა გადაწყვიტა, ბათუმიდან. წასვლის წინა საღამოს დაიჭირეს ბესიკის ქუჩაზე, მორიგი პროკლამაციის გაკვრისას. დაკითხვის ოქმიც მაქვს, იმავე თენგიზ სიმაშვილისგან. მოკლედ, ყაზახეთში გადაასახლეს სამუდამოდ. იქ დაქორწინდა და მამაჩემიც იქ დაიბადა. მერე რაღაცნაირად დაბრუნება მოახერხა. 1987 წლის 7 ნოემბერს გარდაიცვალა. მამას გავცინა: მთელი ცხოვრება ვინც ყველაზე მეტად სძულდა, მათ დაბადების დღეზე გარდაიცვალაო. მისი ოთახის კედელზე მუდამ ეკიდა ჩარჩო, შიგ ოთხი ფოტოთი: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, საშა სულხანიშვილი, ქაქუცა და საშა ერთად და ქაქუცას საფლავი საფრანგეთში. თუ დამიჯერებთ, ქაქუცას ფოტოს გამოდება იმ დროებში პატარა ამბავი არ იყო.

ჰო, იმ 1924 წლის საღამოს, პაპა რომ დაიჭირეს, ელიზბარ მაყაშვილმა გაქცევა მოახერხა. პარიზში იცხოვრა. პირველი წერილი მისგან პაპას 1986 წელს მოუვიდა. იქ ვიყავი, რომ

კითხულობდა და ცრემლები დაპალუპით ჩამოსდიოდა.

მამამ სამეცნიერო ინსტიტუტის განყოფილების გამგედ იმუშავა. საბჭოთა დროს ასე იყო: მეტი თუ გინდოდა, კომუნისტურ პარტიაში უნდა შესულიყავი. ეგ გამორიცხული იყო ჩემებისთვის. დედაც სულ აკრძალული წიგნებით დაიარებოდა აქეთ-იქით: სოლჟენიცინი, რაღაც წიგნი კიდევ ისრაელის ექვსდღიან ომზე.



ერთ ზაფხულს სიონში ვისვენებდით. სახლი იქირავეს ჩემებმა. სააგარაკო ახლობლები გვესტუმრნენ ერთხელაც. ვიქნებოდი მაშინ 5-6 წლის. დასაძინებლად დამანვინეს, მახსოვს, მამას ხმამაღალმა ტონმა გამაღვიძა: რატომ ვერ იცხოვრებ შენ, თუ ცხოვრობს ჰოლანდია, ბელგია, დანია?! მეორე დილით გავარკვიე, რომ სტუმრებს სკეფსისი გამოუთქვამთ, პატარა ქვეყანა ვართ და რუსეთისგან დამოუკიდებლად ვერ ვიცხოვრებთო. დიახ, მაშინ ეს იყო გამეფებული აზრი. ამაზე გამწარებულა მამა.

მეორე პაპა, ანუ დედის მამა დათიკო ფურცელაძე, ანტონ ფურცელაძის შვილიშვილი იყო. მისი მამა, ლევანი - ადვოკატი. პაპამაც

1919 წელს იურიდიულზე ჩააბარა სულ ახლად გახსნილ უნივერსიტეტში. რუსები რომ შემოვიდნენ, წინააღმდეგობაში განევრინა. მისი უახლოესი მეგობარი იყო შალიკო მაცაშვილი, მარო მაცაშვილის ძმა. პაპა რომ კოჯორში მიდიოდა, შალიკო ავად ყოფილა, ვერ უერთდებოდა და პაპასთვის უთქვამს, თუ მოგიხერხდეს, მაროზე თვალი გეჭიროს, ხომ იცი, თავქარიანიაო. მაროს ამბის ტრაგიკული დასასრული ყველამ ვიცით. სხვათა შორის, პაპას გვერდზე მარცხენა ხელში დაიჭრა ნიკო კეცხოველი. ვედარასდროს ხმარობდა მერე მარცხენა ხელს.

პაპა დათიკოს 50-იან წლებამდე არ ღირსებია ნორმალური სამსახური. არც ეკვებებოდა, არ იყო ეგეთი. დაჭერილიც ჰყავდათ 38-ში. 37-ის ადრე გაზაფხულზე, რომ მიხვდა, ვერ გადარჩებოდა, თუშეთში გაიქცა. ერთი წელი იყო იქ და როგორც დაბრუნდა, დაიჭირეს. 1940 წელს გამოუშვიათ. დედა ცრემლებით მიამბობდა, როგორ მობრუნდა სახლში.

ხმასარილებდა, მაგრამ პროტესტს თავისებურად გამოხატავდა: სამოციანებში აკადემიკოსობაზე უარი თქვა. ასევე, უარი თქვა ჩაის სახლთან აკადემიკოსების სახლში ბინის მიღებაზე.

როცა ჩემი ძმა აფხაზეთში დაიღუპა, ჯანზე იყო, 90 წლისა. მაგრამ მაგის მერე მოტყდა. მე ცოცხალი ვიყო და ის - არა, როგორი ამბავია, ეგ ვერ გავიგეო, ერთხელ მითხრა. 1994 წელს გარდაიცვალა.

**ვინც იზრდოდა რუსეთის
წინააღმდეგ ჩვენი საქვით
წინააღმართი. მათ შექმნეს ჩვენი
იდენტობა.**

შალიკოსთან ბოლომდე მეგობრობდა, სანამ ის ცოცხალი იყო. მეც მახსოვს ძია შალიკო - ახოვანი, წარმოსადეგი, კარგი გარეგნობის კაცი.

ხოდა ახლა ვინმეს უნდა, რუსებს ბაბაია დავეძახო? არ გამომივა. არ გამოვა ეგ ამბავი და მორჩა. ჩემი დეენემია ეგა. ჩემი იდენტობის ნაწილია რუსეთთან ბრძოლა. ეგ კი არა, მე რომ

**. . . ძია შალიკო მხატვარი იყო.
ერთხელ ჯაჯალ თავისი ნახატი
აჩუქა დაზადებულ დღეზე.
უფლისციხის დეცალია. სულ,
სულ ახლახანს გადმოვაჭრუნე,
2-3 წელია ალბათ და უკან
ასეთი მინაწერი დამხვდა:
„გაუძელო, როგორც ამან გაუძლო.
შ. მაცაშვილი. „ქვახვრელი“,
უფლისციხე“.
ჩვენ არ გავუძლოვით, ძია
შალიკო. ჩვენ გავიმართვევით.**

რამე მომივიდეს, ზუსტად ვიცი, ჩემი შვილები იბრძოლებენ. იბრძოლებენ კი არა, იბრძვიან. „არა შეჯდა მწყერი ხესა“ ამბავია ეგ.

იმ დღეს მეგობარი იყო მოსული. ძალიან აქტიურია ამ ჩვენი პროტესტების ამბებში. ჩემზე გაცილებით მეტად. იშვიათად ვყვები, ტრაბახად რომ არ გამოვიდეს, მაგრამ მაგ დღეს ვუამბე ეს ამბები ვრცლად. მოულოდნელად მეკითხება, მე რომ ეგეთი წინაპრები არ მყოლია, სისუსტეაო ჩემი? მე სრულიად გულწრფელად ვუთხარი, რომ ისინი ჩვენი საერთო წინაპრები არიან. ყველა! ვინც იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ ჩვენი საერთო წინააღმართი. მათ შექმნეს ჩვენი იდენტობა. დამარცხდნენ, მაგრამ შექმნეს. და ახლა ჩვენ ვდგავართ! და ჩვენ არ დავმარცხდებით. და მაგიტომაც გვინდა ევროპა, რომ მნიშვნელობა აღარ ჰქონდეს, ვინ ვისი შვილი და შვილიშვილია, განურჩევლად ამისა, ერთად შევექმნათ თანამედროვე, თავისუფალი, ცივილიზებული, ევროპული სახელმწიფო. ვიდგებით ბოლომდე.

P.S. ძია შალიკო მხატვარი იყო. ერთხელ პაპას თავისი ნახატი აჩუქა დაბადების დღეზე. უფლისციხის დეტალია. სულ, სულ ახლახანს გადმოვაჭრუნე, 2-3 წელია ალბათ და უკან ასეთი მინაწერი დამხვდა: „გაუძელო, როგორც ამან გაუძლო. შ. მაცაშვილი. „ქვახვრელი“, უფლისციხე“.

ჩვენ არ გავუძლებთ, ძია შალიკო. ჩვენ გავიმართვებთ.

ტიმოთი ბლაუველტი

სახელმწიფო არქივები და დემოკრატია თანამედროვე საქართველოში



ეროვნული არქივი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფო დოკუმენტების შენახვა და დაცვა, შედარებით თანამედროვე კონცეფციაა. ბიუროკრატის, როგორც სახელმწიფოს ადმინისტრირებისთვის საჭირო ინსტიტუტის, განვითარებასთან ერთად დოკუმენტები, პირველ ყოვლისა, ბიუროკრატების მიერ ინახებოდა და გროვდებოდა მათი ადმინისტრაციული მიზნებით გამოსაყენებლად. პირველი ეროვნული არქივი შეიქმნა საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის მიერ საფრანგეთის რევოლუციის დროს, ბასტილიის აღებიდან მალევე. თანდათანობით, მე-19 საუკუნის განმავლობაში, სახელმწიფო დოკუმენტების შენახვის იდეა საზოგადოებისა და ისტორიკოსების მიერ მათი გამოყენების მიზნით ევროპაში ფართოდ გავრცელდა. კონსტიტუციონალიზმის, დემოკრატიული მმართველობის, სამართლის უზენაესობის, რწმენისა და გამოხატვის თავისუფლების ცნებებთან ერთად ასეთ ქვეყნებში სახელმწიფო არქივები წარმოადგენდა საჯარო სივრცეს, სადაც მეხსიერება და ცოდნა პირდაპირ შეიძლება გაზიარებულიყო მმართველებსა და მართულებს შორის. კანადის საჯარო დოკუმენტების მცველის, სერ არტურ დოთის, 1924 წლის სიტყვებით: „ყველა

ეხოვნედ სიმდიდრეს შოხის აჩქივი ყველაზე ძვიფასია, ის ეხთი თაობის მიეჩ მოფიხსთვის მიხთმეუდ საჩუქახს წაჰმოადგენს და მასზე ჩვენი ზიუნვის ხაიისხი ჩვენი ცივილიზაციის დონეს განსაზღვჩავს.“

იქიდან გამომდინარე, რომ „ცოდნა ძალაა“, XX საუკუნის ავტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფოები მკაცრად ზღუდავდნენ თავიანთ არქივებზე წვდომას და განზრახ მანიპულირებდნენ ისტორიით. როგორც ორუელის 1984-ში ობრაიენი უინსტონ სმიტს ამ უკანასკნელის დაკითხვისას ეუბნება: „ჩვენ, პაჩგია, ვაკონტროლებთ ყვედა ჩანაწიხს და ყვედა მოგონებას, მაშასადამე, ჩვენვე ვაკონტროლებთ წაჩსუდს, ასეა აჩა?“ აქედან გამომდინარე, პარტიის სლოგანი და, შესაძლოა, წიგნში ყველაზე ცნობილი ხაზი არის: „**ვინც აკონტროლებს აწმყოს, ის აკონტროლებს წაჩსუდს და ვინც აკონტროლებს წაჩსუდს, ის აკონტროლებს მომავადს.**“ აღნიშნული არასდროს ისე ზედმინევენით არ ასახულა პრაქტიკაში, როგორც საბჭოეთში, სადაც ოფიციალური არქივი, ლენინის ბრძანებით, 1918 წლის 1 ივნისს შეიქმნა. ბოლშევიკები, რომლებიც თავიანთ თავს ახალი ისტორიის შემქმნელებად მიიჩნევდნენ, წვრილად აღწერდნენ საკუთარ საქმიანობას. თუმცა, მათი ხედვით, არქივები მხოლოდ პარტიისა და სახელმწიფო აპარატისთვის განკუთვნილ საცავებს წარმოადგენდა, რომელთაც ეს ძვირფასი ცოდნა საზოგადოებისგან უნდა დაეცვათ და ეკონტროლებინათ მისი ინტერპრეტაციის პროცესი.

„პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ ეგიდით გორბაჩოვის ახალი „ღიაობის“ ფონზე ბერლინის კედლის დანგრევასა და, საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის დაცემასთან ერთად, ცივი ომის შემდგომი დემოკრატიზაციის ტალღის ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი მოვლენა სახელმწიფო, პარტიული და საიდუმლო პოლიციის არქივების გახსნა იყო, რაც დემოკრატიის გზაზე ახლად შემდგარ ბევრ აღმოსავლეთევროპულ ქვეყანასა და, გარკვეულ დონეზე, ან უკვე დამოუკიდებელ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში განხორციელდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ე.წ. „ისტორიის დასასრული“ არსებითად ისტორიის

დაბრუნებასაც გულისხმობდა. მიუხედავად 1990-იანი წლების „საარქივო ოქროს ციბე-ცხელებისა“, როდესაც მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში მთავარმა სახელმწიფო და პარტიულმა არქივებმა მკვლევრებს კარები გაუღეს და საკუთარი კატალოგების გამოქვეყნება (და ზოგ შემთხვევაში გაყიდვა) დაიწყეს, პოსტსაბჭოთა სივრცეში საარქივო გახსნილობა არამხოლოდ ხანმოკლე, არამედ არათანაბარი და ნაწილობრივი აღმოჩნდა. ყველაზე სრულყოფილად არქივები ბალტიის სახელმწიფოებში გაიხსნა, სადაც, დღევანდელი მდგომარეობით, საარქივო მასალებთან წვდომისა და გამჭვირვალობის ხარისხი დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ნებისმიერ ქვეყანას გაუწევს კონკურენციას.



„ვინც აკონტროლებს აწმყოს, ის აკონტროლებს წარსულს და ვინც აკონტროლებს წარსულს, ის აკონტროლებს მომავალს.“

ცენტრალური აზიის რესპუბლიკების უმეტესობას არასდროს უფიქრია საკუთარი არქივების გახსნაზე ან, საუკეთესო შემთხვევაში, მცირედით გახსნა ისინი. რუსეთში ზოგიერთი მთავარი ცენტრალური ისტორიული არქივი, როგორებიცაა საბჭოთა სახედრო და საიდუმლო პოლიციის არქივები, მკვლევრებისთვის დახურული დარჩა. მაგრამ მანამდეც კი, სანამ პუტინის ეპოქაში ავტორიტარიზმის დაბრუნებასთან ერთად არქივებზე წვდომა ისევ შეიზღუდებოდა, არქივარიუსების უმეტესი ნაწილის მენტალობა საბჭოური ყაიდისა იყო და მათ საკუთარ დანიშნულებად დოკუმენტების - ანუ წარსულის ცოდნის - ხალხისგან დაცვა მიაჩნდათ, ნაცვლად მკვლევარებისა და საზოგადოებისთვის წვდომის ხელშეწყობისა.

გვიან 2000-იან და 2010-იან წლებში, ყოფილ საბჭოთა „პერიფერიაში“ არსებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები, როგორებიცაა სომხეთი, მოლდოვა და, განსაკუთრებით, უკრაინა 2004-2005 წლების „ნარიჩისფერი რევოლუციიდან“ მალევე და საბოლოოდ,

2013-2014 წლების „ევრომაიდნის“ შემდეგ, საარქივო ღიაობის ახალი ეპიცენტრები გახდა. არქივების დასაცავად და შესანარჩუნებლად შეიქმნა არაპოლიტიკური საჯარო ორგანიზაცია ეროვნული მეხსიერების უკრაინული ინსტიტუტი. უკრაინული კაგებეს სრულად გახსნილი არქივები (*Haluzevyi derzhavnyi arkhiv Sluzhba Bezpeky Ukrainy* - ცნობილი, როგორც SBU-ს არქივი) საბჭოთა საიდუმლო პოლიციისა და მთლიანად სისტემის ფუნქციონირების შესასწავლად მთავარი რესურსი გამოდგა. მიმდინარე ომის პირობებშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ კიევში SBU-ს არქივის სამკითხველო დახურულია, რადგან ის სამხედრო სამიზნეს წარმოადგენს, მოთხოვნის შემთხვევაში, არქივის თანამშრომლები მოთხოვნილ დოკუმენტებს ასკანერებენ და მკვლევრებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში უფასოდ უგზავნიან. უკრაინელმა არქივარიუსებმა ასევე გმირული ძალისხმევა გასწიეს რუსული აგრესიისგან უკრაინული არქივების დასაცავად და რუსული ოკუპაციის ქვეშ მყოფი რეგიონებიდან არქივების სხვა ადგილებში გადასატანად.

ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველომ, საარქივო ღიაობის მხრივ, რეგიონში სამაგალითო ქვეყნად ქცევის ნიშნები გამოავლინა.



ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველომ, საარქივო ღიაობის მხრივ, რეგიონში სამაგალითო ქვეყნად ქცევის ნიშნები გამოავლინა. იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ საქართველოს ეროვნულ არქივში პროცედურები გამარტივდა. ეროვნული არქივი მოიცავს ისტორიის არქივს, სადაც დაცულია ჩანაწერები ცარისტული რეჟიმისა და 1918-21 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ, ასევე თანამედროვე ისტორიის არქივს, რომელიც საბჭოთა პერიოდის ჩანაწერებს ინახავს. **ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებით, სააპლიკაციო წერილის**

წარდგენიდან 10 წუთში უკვე სამკითხველო დარბაზში ვმუშაობდი, მოთხოვნილი ფაილები იმავე დღეს მბარდებოდა და არ არსებობდა რაიმე შეზღუდვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფაილების ნახვა დაიშვებოდა.

პრეზიდენტის 2007 წლის ბრძანებულებით, საქართველოს ყოფილი კომუნისტური პარტიის უზარმაზარი არქივი ფორმალურად გაიხსნა საზოგადოებისთვის და „იმელის“ შენობის სარდაფიდან, სადაც ის ფუჭდებოდა, გადატანილ იქნა მუხიანის სატელეფონო სადგურის უფრო ახალ შენობაში. ფაილები მოათავსეს ახალ ყუთებში და, ეროვნული არქივის ექსპერტთა დახმარებით, დაიწყო დაზიანებული მასალების სარესტავრაციო სამუშაოები. იმავე ბრძანებულებით, საქართველოს ყოფილი კაგებეს არქივები გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი, თუმცა ის დარჩა შინაგან საქმეთა სამინისტროს „მოდულის“ შენობაში, საიდანაც მოგვიანებით გადაიგზავნა პოლიციის აკადემიაში. როგორც პარტიული, ისე კაგებეს მასალები ორგანიზაციულად შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო ადმინისტრაციის ქვეშ გაერთიანდა და გამოიყო რესურსები მათი შენახვისა და საჯაროდ გავრცელებისთვის. პოლკოვნიკ ომარ თუშურაშვილის შთამაგონებელი ხელმძღვანელობით, არქივის ადმინისტრაცია ცდილობდა, ამ ეროვნული საგანძურის მიმართ საზოგადოების ყურადღება მიეპყრო. **გამოიყვანა ჟურნალი „არქივის მოამბე“ და სხვა პუბლიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე, იღებდნენ დოკუმენტურ ფილმებს, სკოლის მოსწავლეებისა და უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის იქმნებოდა პროგრამები, მასპინძლობდნენ ადგილობრივ და უცხოელ მკვლევრებს.**

საქართველოში საარქივო ღიაობის ამ „ოქროს ხანაშიც“ კი ბევრი რამ იყო გასაუმჯობესებელი, განსაკუთრებით, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან შედარებით. საქართველოს კაგებეს არქივის დიდი ნაწილი ხანძარმა გაანადგურა ე.წ. „თბილისის ომის“ დროს, 1991-92 წლებში. ოფიციალური დათვლით, გადარჩა არქივის მხოლოდ 20%. ასევე ოფიციალური ვერსიით, ხანძრის დროს განადგურდა

„ინფორმატორებთან“ დაკავშირებული ყველა ფაილი და გადარჩა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებული საქალაქდებები. მიუხედავად იმისა, რომ, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მსგავსად, საქართველომაც მიიღო ე.წ. „ლუსტრაციის“ კანონები, კანონმდებლობამ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე უმნიშვნელო გავლენა იქონია, რადგან საყოველთაო კონსენსუსის თანახმად, „ინფორმატორთა“ ფაილები და კარტოთეკა მთლიანად განადგურებულიყო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხანძრები იშვიათადაა ასეთი შერჩევითი და რომ კაგებეს, სავარაუდოდ, მსგავსი დოსიეები ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მდებარე ოფისებშიც ექნებოდა შენახული. სახელმწიფოს ყველა არქივში - იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ ეროვნულ არქივსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ კაგებეს არქივში - საკუთარი საშუალებებით დოკუმენტებისთვის ფოტოს გადაღება ან მათი სკანირება (რაც უმეტეს დასავლურ არქივებში რეგულაციებისა და საკუთრების უფლების გათვალისწინებით დაშვებული და უფასოა), საქართველოში ან აკრძალულად დარჩა, ან - ხშირად ხელმიუწვდომელი საფასური დაედო, განსაკუთრებით, ადგილობრივი მკვლევრებისა და სტუდენტების სტანდარტებით. იმ კანონების მიღებამ, რომლებიც ზღუდავდა არქივებიდან 75 წელზე ახალ პერსონალურ მონაცემებთან წვდომას, საფრთხე შეუქმნა უახლესი ისტორიის კვლევას, თუმცა ამ კანონმდებლობის აღსრულება თანმიმდევრული არ იყო.

ამ საკითხების მიუხედავად, **საქართველო წლების განმავლობაში რეგიონში საარქივო ღიაობის შუქურა იყო და ამ პერიოდში ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების მიერ საქართველოსა და კავკასიის ისტორიის კვლევა ახალ სიმაღლეზე ავიდა. შემდეგ ეროვნულ არქივში დაიწყო ცვლილებები და საარქივო მასალებზე წვდომის პროცედურები საბჭოურ სტილს დაუბრუნდა, რაც გულისხმობდა: 10-დღიან ვადას მკვლევრის მიერ მასალებზე წვდომის მოთხოვნის დასამუშავებლად (თუმცა პრაქტიკაში ეს ვადა ხშირად კვირებისა და თვეების განმავლობაში**

კი გრძელდებოდა); 2-დღიან მოსაცდელ პერიოდს მოთხოვნილი დოკუმენტების მოსამზადებლად; და იმ დოკუმენტების რაოდენობრივ შეზღუდვას, რომელთა არქივიდან გამოთხოვაც მკვლევარს შეეძლო. კიდევ უარესი იყო ის, რომ, ყოფილი თანამშრომლების ინფორმაციით, უცხოელი მკვლევრების მიერ მასალებზე წვდომის მოთხოვნა არაფორმალური განხილვისთვის ეგზავნებოდა იუსტიციის სამინისტროს, რომელიც წყვეტდა, დაეკმაყოფილებინა თუ არა ის.



საქართველო წლების განმავლობაში რეგიონში საარქივო ღიაობის შუქურა იყო და ამ პერიოდში ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების მიერ საქართველოსა და კავკასიის ისტორიის კვლევა ახალ სიმაღლეზე ავიდა. შემდეგ ეროვნულ არქივში დაიწყო ცვლილებები და საარქივო მასალებზე წვდომის პროცედურები საბჭოურ სტილს დაუბრუნდა

უცხოელი მკვლევრების მზარდი რაოდენობა უარს იღებდა წვდომის უფლებაზე, თუმცა - პირდაპირ არა: მათ ეუბნებოდნენ, რომ ეროვნული არქივი არ ფლობდა მკვლევრის სამუშაო თემისთვის რელევანტურ მასალებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა მკვლევრებმა ასეთი დოკუმენტები უკვე გამოიყენეს, ან ეუბნებოდნენ, რომ რელევანტური მასალები არ იყო ხელმისაწვდომი მისი რესტავრაციის ან გაციფრულების პროცესის გამო. ხშირად ეს მაშინაც ხდებოდა, როდესაც მკვლევარს არ ჰქონდა მითითებული, თუ რომელი კონკრეტული მასალის გამოყენება სურდა. სხვა შემთხვევებში, ცნობილი იყო, რომ ეს ფაილები უკვე გაციფრულდა. ერთ განსაკუთრებით აღმაშფოთებელ შემთხვევაში, დოკუმენტი, რომელზეც მკვლევარს უთხრეს, რომ არცერთი

ფორმით არ იყო ხელმისაწვდომი, რამდენიმე წლის წინ არქივის ვებგვერდზე განთავსებული აღმოჩნდა. ხშირად უცხოელი მკვლევრების არქივებზე წვდომის მოთხოვნის წერილები „იკარგებოდა“, როდესაც ისინი ქვეყანაში ჩამოდიოდნენ კვლევის დასაწყებად და ზოგჯერ საბოლოო თანხმობაზე დასტური (სრულიად შემთხვევით) ზუსტად მკვლევრის ქვეყნიდან გამგზავრების წინ მოდიოდა. ცოტა ხნის წინ, მკვლევრებმა ფოტოზე აღბეჭდეს სამკითხველო დარბაზის მორიგის მაგიდის უკან არსებული სია ისტორიული არქივის იმ ფონდებისა, რომლებზეც, როგორც ჩანს, უცხოელ მკვლევრებს წვდომა ეზღუდებოდათ, მათ შორის, კავკასიაში ცარისტული ადმინისტრაციის შესახებ არსებულ მთავარ კოლექციებზე. ასევე, ეროვნულ არქივში მკვლევრებისთვის გაცემული ნებართვის

საქართველოს ყოფილი პარტიული და კაგებეს არქივები, მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის შესასწავლად საჭირო ძირითადი წყაროები, საზოგადოებისთვის სრულიად მიუწვდომელია.

მოქმედების ვადა შეიცვალა და შემცირდა ერთი კალენდარული წლიდან (ანუ ადრე იანვრის დასაწყისში გაცემული ნებართვა დეკემბრის ბოლომდე მოქმედებდა) სამ თვემდე, რაც ადმინისტრაციას მასალებზე წვდომაზე უარის თქმის უფრო ხშირ შესაძლებლობას აძლევს. ზოგჯერ მკვლევრებს, რომლებიც ნებართვის განახლებას ითხოვდნენ, ეუბნებოდნენ, რომ მასალები, რომლებსაც ისინი წინა დღეს იყენებდნენ, უკვე აღარ იყო ხელმისაწვდომი. არ არსებობდა აშკარა, ცხადი ლოგიკა, ვის მიმართ და რატომ უნდა გამოეყენებინათ მსგავსი მიდგომა, თუმცა ეს შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო საქართველოში პოლიტიკურად მგრძობიარე/საკამათო ისეთ საკითხებთან, როგორებიცაა ისლამი და სახელმწიფო საზღვრები. ჩანდა, რომ დე-ფაქტო უარს

ყველაზე ხშირად თურქი მეცნიერები იღებდნენ (თუმცა, მსგავსი რამ ასევე მომხდარა ამერიკელ, რუს და გერმანელ მკვლევრებთანაც).

ბოლო პერიოდამდე, გარკვეულწილად პარადოქსულადაც, წვდომა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ საქართველოს პარტიულ და კაგებეს არქივებზე ღია და შეუფერხებელი იყო. წვდომაზე განცხადების წერილები სწრაფად (ჩვეულებრივ, იმავე დღეს) დასტურდებოდა და დოკუმენტები მოთხოვნიდან რამდენიმე წუთში გამოჰქონდათ. ჩემი პირადი გამოცდილებით, უარი არასდროს უთქვამთ ჩემ მიერ მოთხოვნილ არცერთ დოკუმენტზე. ძირითადი ფონდების ყველა ინვენტარი (იმ დახმარებების მოძიება, რომლებშიც ჩამოთვლილია ცალკეული ფაილის სათაური) ხელმისაწვდომი იყო PDF ფორმატში საარქივო ადმინისტრაციის საიტზე, რაც მკვლევრებისთვის მოსახერხებელი იყო, რადგან ის არქივში ვიზიტამდე მოსამზადებელ სამუშაოებზე დიდ დროს ზოგავდა. თუმცა, სავარაუდოდ, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, 2021 წელს საარქივო ადმინისტრაციის ვებგვერდი რეკონსტრუქციისთვის დაიხურა და მას შემდეგ აღარც გახსნილა. შემდეგ, 2023 წლის ბოლოს, როგორც პარტიული, ისე კაგებეს არქივები მოულოდნელად საზოგადოებისთვის დაიხურა. ბუნდოვანი განმარტებები გაკეთდა ვებსაიტის უსაფრთხოებასთან, სავარაუდოდ „ხელახალ ინვენტარიზაციასა“ და ამ არქივების ეროვნულ არქივთან გაერთიანების პოტენციურ გეგმებთან დაკავშირებით. არქივის თანამშრომლებიც კი დაბნეული ჩანან დახურვის მიზეზებთან დაკავშირებით და უძღურნი არიან გასცენ ინფორმაცია, თუ როდის და რა ფორმით გაიხსნება ის. არქივების ადმინისტრაციის საგამომცემლო და სხვა საქმიანობა თითქმის სრულად შეჩერდა, ხოლო საერთაშორისო დონორების რამდენიმე საგრანტო პროექტი, რომელიც არქივს გამოცემებში, სარესტავრაციო სამუშაოებსა და გაციფრულებაში უნდა დახმარებოდა, დაიბლოკა და საბოლოოდ, როგორც ჩანს, გაუქმდა.

ამგვარად, მოცემული მომენტისთვის, 2025 წლის დასაწყისში, ეროვნულ არქივებზე

დავშებისა და წვდომის საკითხი სრულიად ბუნდოვანია, განსაკუთრებით უცხოელი მკვლევრებისთვის, ხოლო **საქართველოს ყოფილი პარტიული და კავებეს არქივები, მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის შესასწავლად საჭირო ძირითადი წყაროები, საზოგადოებისთვის სრულიად მიუწვდომელია.** ადგილობრივი და საერთაშორისო მკვლევრების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა საელჩოების თხოვნა-მოწოდებები უპასუხოდ რჩება. უცხოელ მკვლევრებს დიდი ხნის დაგეგმილი კვლევითი ვიზიტების გაუქმება, ხოლო მაგისტრატურის საფეხურის ზოგიერთ ჩემს სტუდენტს მათი სათეზისო პროექტების იძულებით გადადება მოუწიათ. **შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რა არის არქივებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მთავარი მოტივი და რა დონეზე მიიღება ამგვარი გადაწყვეტილებები. ისტორია და, როგორც ჩანს, განსაკუთრებით საბჭოთა წარსული, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ვილაციისთვის საშიშად მიიჩნევა.**

ისეთ საკითხებთან შედარებით, როგორებიცაა არჩევნების გაყალბება, გამოსატვისა და შეკრების თავისუფლების არაკონსტიტუციური შეზღუდვები, სასამართლოს გარეშე დასჯა-დაკავებები, საარქივო მასალებზე წვდომის შეზღუდვა, თითქოს შედარებით რბილ პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ, მაინც, ის ადრეული გაფრთხილების რბილი, თუმცა მძლავრი ინდიკატორია. ფრანგი ფილოსოფოსის, ჟაკ დერიდას სიტყვებით, „ქმედითი დემოკრატიზაცია ყოველთვის ფასდება ამ ძირითადი საზომით: არქივში თანამონაწილეობითა და მისი ხელმისაწვდომობით, მისი შექმნითა და ინტერპრეტირებით.“


ბოლო დროს საქართველოში ხშირად გამოითქმება სინანული იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში

სახელმწიფო დონეზე რეფორმების ყველა მცდელობის მიუხედავად, სასამართლო და შიდა უსაფრთხოების სტრუქტურები მმართველი ძალის პოლიტიზებულ საყრდენებად დარჩა.



შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რა არის არქივებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მთავარი მოტივი და რა დონეზე მიიღება ამგვარი გადაწყვეტილებები. ისტორია და, როგორც ჩანს, განსაკუთრებით საბჭოთა წარსული, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ვილაციისთვის საშიშად მიიჩნევა.

არქივარიუსებისა და არქივების რიგითი თანამშრომლების კეთილსინდისიერი ძალისხმევის მიუხედავად, საქართველოს ძირითადი არქივების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროზე პირდაპირი დაქვემდებარება ნიშნავს, რომ ისინი დაუცველნი არიან ხელისუფლებაში მყოფთა ახირებების მიმართ. რაც შეეხება მთლიანად სახელმწიფო სტრუქტურას, როგორც ასეთს, სამომავლოდ საჭიროა არქივებისთვის აპოლიტიკური და დამოუკიდებელი სააგენტოს ან ინსტიტუციის შექმნა, რათა მათ სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი ის შესაძლო როლი, რომელიც მათ ეკისრებათ, როგორც საჯარო სივრცეს, რომელშიც მენსიერება და ცოდნა პირდაპირ იქნება გაზიარებული მმართველსა და მართულს შორის დემოკრატიულ გარემოში.





ციხეში უბილი თავისუფლება

ქეთი ქურდოვანიძე

„იმ დროს, როცა მთელი საქართველოს რესპუბლიკა სატუსაღოთ არის გადაქცეული – ადვილი წარმოსადგენია, თუ რაღა იქნება თვით ამ სატუსაღოში გამართული სატუსაღო... ბრალდებას თითქმის 80%-ს ვერავითარს ვერ უყენებენ – ან რა უნდა წაუყენონ... მოპყრობა პოლიტიკურ ტუსალებს უფრო მკაცრი გვაქვს, ვიდრე სისხლის სამართლის ტუსალებს... ჩვენ პირობებში. ადმინისტრაცია არამც თუ არავითარ სამართლიან მოთხოვნილებას შეძლების ფარგლებში არ ასრულებს, პირიქით ცდილობს, რომ გამოგვიწვიოს, რაც აიხსნება იმით, რომ პოლიტიკურ ტუსაღთა შევიწროებაზე ისინი მადლობას იღებენ... აქ დიდ დახმარებას უწევენ ციხის ადმინისტრაციას კომუნისტები დატუსაღებულნი სხვა და სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც 150 კაცამდის არის.. ამ ქურდ-

ბაცაცებს მექრთამეებს და ყაჩაღებს თავისი შავი წარსული დაბეზლება-დასმენით უნდათ გამოასწორონ... ზემო აღწერილიდან ადვილათ წარმოიდგენთ ჩვენ მდგომარეობას.“

ეს არის ამონარიდი პოლიტპატიმრის წერილიდან, მეტეხის ციხიდან გამოგზავნილი 1921 წელს. არადა, როგორ თავზარდამცემად თანამედროვედ ჟღერს დღეს, როცა საქართველოს ციხეები სავესტა პოლიტპატიმრებითა და სინდისის პატიმრებით...

ყველაფერი 2012 წელს რუსული სპეცოპერაციის მეშვეობით ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლით დაიწყო. მაშინ ბევრს ვერც კი წარმოედგინა, რომ, უკეთესი მომავლის იმედით აღტკინებულს, რეპრესიებთან,

ძალადობასთან, გაუგონარ კორუფციასთან, ქვეყნის დასავლური კურსის ცვლილებასა და რუსულ დიქტატურასთან მოუწევდა ბრძოლა, ამის გამო კი დევნა, ძალადობა, სამსახურიდან დათხოვნა და პატიმრობაც კი ელოდა. არ ეგონა მაშინაც, როდესაც ოპოზიციაში გადასული წინა ხელისუფლების ლიდერები სატუსალოში გამოამწყვდიეს, არც მაშინ, როდესაც საქართველოს მესამე პრეზიდენტი პიჭავჭავაძისა და საპნის შეძენის ბრალდებით გაასამართლეს, არც მაშინ, როდესაც გავრილოვის ღამეს ახალგაზრდებს თვალები დასთხარეს და არც მაშინ, როდესაც რუსული კანონი ვითომდაც სამუდამოდ უკან გაიწვიეს.

დამყარებაში საკუთარი წვლილის გააზრება არ სურს, მეტიც, დოსტოვესკის რასკოლნიკოვიცით ცდილობს, თავისი საბედისწერო შეცდომის გამართლებას, რადგან მიაჩნია, რომ მაშინ, როდესაც რუსულ რეჟიმს მხარს უჭერდა, დემოკრატიისა და უკეთესი მომავლისთვის იბრძოდა. ასე ფიქრობს რასკოლნიკოვიც, მის თვალში მევახშე ქალი საზოგადოების უსარგებლო წევრია, რომლის სიკვდილი გამართლებული შეიძლება იყოს, თუ ეს „დიად მიზანს“ ემსახურება.

ამ მოტივით ჩაება ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი იმ ეგზისტენციულ

ყველაფერი 2012 წელს რუსული სპეცოპერაციის მეშვეობით ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლით დაიწყო. მაშინ ბევრს ვერც კი წარმოედგინა, რომ, უკეთესი მომავლის იმედით აღტკინებულს, რეპრესიებთან, ძალადობასთან, გაუგონარ კორუფციასთან, ქვეყნის დასავლური კურსის ცვლილებასა და რუსულ დიქტატურასთან მოუწევდა ბრძოლა, ამის გამო კი დევნა, ძალადობა, სამსახურიდან დათხოვნა და პატიმრობაც კი ელოდა.

არადა, თითქოს ამ საზოგადოებას ყოველთვის ჰქონდა პრეტენზია წიგნიერებაზე, განათლებულობაზე, პროგრესულობასა და ჰუმანიტარულ კულტურაზე. ასე ხდება, როდესაც ბევრისთვის ეს ღირებულებები არა ორგანული, არამედ ფორმალური ხასიათისაა, კრიტიკული აზროვნებისა და სიღრმისეული თვითშემეცნების დეფიციტის გამო. ან კი რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს განათლების იმ სისტემას, რომელიც მხოლოდ ფაქტების დამახსოვრებაზეა ორიენტირებული და არა ანალიზის, მორალური დილემების გადაჭრის თუ სოციალური უნარების ჩამოყალიბებაზე? ამას ემატება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნაკლებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები გადაწყვეტილებებს ხშირად ჯგუფურ კონფორმიზმს ან პოპულისტურ ნარატივებს აფუძნებენ. ამიტომაც არის ჩვენი საზოგადოების ჰუმანიზმი ასეთი მყიფე და ყალბი და არა საყოველთაო და უნივერსალური. დღეს საქართველოში შექმნილი ვითარება იმდენად ცხადია, რომ ბევრი ამ ტიპის ადამიანი დისტანცირდა რუსული რეჟიმისგან, თუმცა მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ამ რეჟიმის


„პროცესში“, რომელიც პუტინის რუსეთმა ქართველი კოლაბორაციონისტების ხელით წამოიწყო საქართველოს წინააღმდეგ. მართლაც, ფრანც კაფკას რომანის, „პროცესის“, რეალობაში აღმოვჩნდით: გვაპატიმრებენ და არ ვიცით, რატომ, ბრალს გვდებენ და ვერ ვიგებთ, რისთვის. და როდესაც არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს შესაბამისი არგუმენტებიც მის გასაბათილებლად. სწორედ ეს არის კაფკასეული სამართლისა და სასამართლოს აბსურდულობა - სისტემის ხელთ არსებული დაუმარცხებელი იარაღი. და ეს სამართალიც ძალიან ჰგავს საქართველოში



დამკვიდრებულ რუსულ სამართალს, რომელიც დიდი ხანია გაცდა ინსტიტუციურ ჩარჩოებს და, შეიძლება ითქვას, ქვეყნის ფარგლებსაც კი, რადგან დღეს საქართველოში სასამართლო პროცესები მიჰყავთ დასანქცირებულ მოსამართლეებს, რომლებიც ასევე რუსეთთან თანამშრომლობისთვის დასანქცირებული ოლიგარქის დავალებებს ასრულებენ, ოლი-

ნუთუ ასეთი ძნელად სავარაუდო იყო ჩვენი განათლებული საზოგადოებისთვის, რომ ორუელისეული დისტოპიური რეალობა გველოდა? ერთი მხრივ, ორუელის პოპულარობა ქართველ ახალგაზრდებში ბევრად აჭარბებს „ვეფხისტყაოსნისას“, მეორე მხრივ კი, ორუელისეული ტოტალიტარული მმართველობისადმი ოლიგარქის ტრფობა იმთა-

ან კი რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს განათლების იმ სისტემას, რომელიც მხოლოდ ფაქტების დამახსოვრებაზეა ორიენტირებული და არა ანალიზის, მორალური დილემების გადაჭრის თუ სოციალური უნარების ჩამოყალიბებაზე? ამას ემატება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ნაკლებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები გადაწყვეტილებებს ხშირად ჯგუფურ კონფორმიზმს ან პოპულისტურ ნარატივებს აფუძნებენ. ამიტომაც არის ჩვენი საზოგადოების ჰუმანიზმი ასეთი მყიფე და ყალბი და არა საყოველთაო და უნივერსალური.



გარქი კი, თავის მხრივ, ჰააგის სასამართლოს მიერ ომის დამნაშავედ ცნობილი დიქტატორის ბრძანებებს. აი, ასეთი გაუკვალავი ლაბირინთის ტყვეობაშია ახლა ყველა, ვინც განაჩენს ელოდება საკანში ან საკნის მიღმა, რადგან რუსული რეჟიმის პირობებში „თავისუფლების აღკვეთამ“, როგორც იურიდიულმა ტერმინმა, ხოლო ციხემ, როგორც სასჯელადსრულების დანესებულებამ, დაკარგა თავისი ინსტიტუციური მნიშვნელობა და ეგზისტენციალური ხასიათი შეიძინა.

ვითვე გაცხადებული იყო, ყოველგვარი მეტაფორული მინიშნებების გარეშე. და მაინც, რა იყო დაუჯერებელი - არ იკადრებდა, ვერ გაბედავდა, თუ მართლა ეგონა ხალხს, რომ არ მოგვენონებოდა და გადავირჩევდით? არა, რასაკვირველია. თითქმის ყველამ წინასწარვე იცოდა, ვინც მოდიოდა ხელისუფლებაში, მაგრამ ფიქრობდა, რომ მას არ შეეხება, რომ ოლიგარქის მიერ დანიშნული პენსია მუდმივია, რომ, როგორც ოცნების ამომრჩეველს, ყველაფრის უფლება ექნება, შეზღუდვები და

დღეს საქართველოში სასამართლო პროცესები მიჰყავთ დასანქცირებულ მოსამართლეებს, რომლებიც ასევე რუსეთთან თანამშრომლობისთვის დასანქცირებული ოლიგარქის დავალებებს ასრულებენ, ოლიგარქი კი, თავის მხრივ, ჰააგის სასამართლოს მიერ ომის დამნაშავედ ცნობილი დიქტატორის ბრძანებებს.

დევნა კი მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წევრების ხვედრი გახდება.

პირველ ეტაპზე ასეც მოხდა, თუმცა დიქტატურის დასამყარებლად საკმარისი არ არის ოპოზიციური პარტიების დისკრიმინაცია, საჭიროა ტოტალური ცენზურა და ყოველგვარი

ესმოდა ზემოთ ჩამოთვლილი მითები, ზოგს - მეგობართა წრეში, ამ მაკომპრომეტირებელი ნარატივების გამყარება კი „ოპოზიციის ოპოზიციამ“ დაიწყო და გატრენდდა კიდევ - „ნაციონალებისა და სააკაშვილის მხარდაჭერა გოიმობაა.“

ორუელისეული ტოტალიტარული მმართველობისადმი ოლიგარქის ტრფობა იმთავითვე გაცხადებული იყო, ყოველგვარი მეტაფორული მინიმუმების გარეშე. და მაინც, რა იყო დაუჯერებელი - არ იკადრებდა, ვერ გაბედავდა, თუ მართლა ეგონა ხალხს, რომ არ მოგვეწონებოდა და გადავირჩევდით?

განსხვავებულის აღმოფხვრა, რეჟიმისთვის პოტენციურად საფრთხის შემცველი ფაქტორების განადგურება და სრული მორჩილება.

რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ რუსული პროპაგანდის მიერ გაშავებული ნაციონალური მოძრაობა და დემონიზებული მესამე პრეზიდენტი უსამართლოდ და უკანონოდ იდევნებოდნენ. გულწრფელად სჯეროდათ, რომ ბუნებაში არსებობს 26 ათასი გაუპატიურებული ვაჟკაცი, ადამიანების ორგანოებით მოვაჭრე პრეზიდენტის ცოლი, ძალოვანი მინისტრის აივანზე დაბმული კაციჭამია მგელი, ყოფილი ხელისუფლების მიერ „ჩაბარებული“ აფხაზეთი და 2008 წელს ქართველების ტყვიამფრქვევების გუგუნით გაღვიძებული „მძინარე ცხინვალი“. სჯეროდათ იმიტომ, რომ მათთვის არასდროს არავის აუხსნია, რა მოხდა 1991-1992 წლებში, როგორი ქვეყანა ჩაიბარა ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებამ, რა გამოწვევების წინაშე იდგა, რა შეცდომები დაუშვეს რეფორმატორებმა და რატომ აგეს ასე მწარედ პასუხი. ზოგს სახლში



ამ პარადიგმით მოვედით დღემდე და, იმისდა მიუხედავად, რომ დასავლურ კურსს გადავუხვიეთ, რუსული დიქტატურა დავამყარეთ, ციხეები პოლიტპატიმრებით გავავსეთ, მაინც უცილობლად გვესმის ახლა უკვე ოპოზიციაში გადასული და საპროტესტო

გულწრფელად სჯეროდათ, რომ ბუნებაში არსებობს 26 ათასი გაუპატიურებული ვაჟკაცი, ადამიანების ორგანოებით მოვაჭრე პრეზიდენტის ცოლი, ძალოვანი მინისტრის აივანზე დაბმული კაციჭამია მგელი, ყოფილი ხელისუფლების მიერ „ჩაბარებული“ აფხაზეთი და 2008 წელს ქართველების ტყვიამფრქვევების გუგუნით გაღვიძებული „მძინარე ცხინვალი“.

აქციების რამის ავანგარდად ქცეული სამოქალაქო აქტივისტებისა თუ პოლიტიკური ლიდერებისგან, დაპატიმრებული და ნაწამები მომიტინგეებისგან, ახლად შექმნილი ოპოზიციური მოძრაობებისა და დემოკრატიის შუქურად ქცეული მეხუთე პრეზიდენტისგან - „ოცნება ისე იქცევა, ცოტა ხანში ნაციონალების ხელისუფლებას დაემსგავსება“. ანუ ჯერ მთლად ასეთი სასტიკიც არ არის, მაგრამ მალე იქნებაო. ჰოდა, თუ ეს ნაწამებ-ნაბეგვი ადამიანები ასე ფიქრობენ, რა გასაკვირია, სახლში თბილად მოკალათებული, რუსული რეჟიმისგან ნაპატივები „იმედის“ მაყურებელი ნეტარებას განიცდიდეს. ასეა

საერთო საზოგადოებრივი სინდისის ტვირთი.

კოლექტიური პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე ალბათ ყველაზე ზუსტი მაგალითი ისევ რუსთაველმა მოგვიყვანა: წარმატებით და ბედნიერად მცხოვრები ადამიანები უარს ამბობენ პირად კომფორტზე, ტოვებენ ყველას და ყველაფერს და მთავარი მიზნისთვის ერთიანდებიან. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ფატმანი, ასმათი კორპორაციულად იბრძვიან ქაჯეთიდან ნესტან-დარეჯანის - „ვეფხისტყაოსნის“ სინდისის პატიმრის გამოსახსნელად. ნესტანის პატიმრობა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღეს,

- დიდი რეპრესიების ჟამია დამდგარი და ვისაც თავის დროზე ასე სძულდა ნაციონალური მოძრაობა, ახლა მათ რუსული რეჟიმი კოლექტიური ნაცმოძრაობის კონტექსტში მოიხსენიებს და ზუსტად ისევე ექცევა, როგორც ავთენტიკურ ნაცებს.

თუ ისე, ფაქტი ერთია - დიდი რეპრესიების ჟამია დამდგარი და ვისაც თავის დროზე ასე სძულდა ნაციონალური მოძრაობა, ახლა მათ რუსული რეჟიმი კოლექტიური ნაცმოძრაობის კონტექსტში მოიხსენიებს და ზუსტად ისევე ექცევა, როგორც ავთენტიკურ ნაცებს. დღეს ჩვენ ვიმკით რუსული რეჟიმის ძალადობის პირად და საზოგადოებრივ შედეგებს: უკანონო პატიმრობა ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევა და სამართლიანობის, თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების უგულებელყოფა.

როგორი უნდა იყოს საზოგადოების ეთიკური დამოკიდებულება სინდისის პატიმრების მიმართ, როცა აშკარაა, რომ სისტემა ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებას ფეხქვეშ თელავს? ახლა საზოგადოების ერთი ნაწილი შიშის ან გულგრილობის გამო დუმს, ხოლო მეორე ნაწილი ამ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძვის, მაგრამ, ცხადია, რაც ახლა საქართველოში ხდება, მხოლოდ ცალკეულ ინდივიდს კი არ ეხება და არ აზიანებს, არამედ მთლიანად საზოგადოებას, რადგან სამართლიანობა ყველას პასუხისმგებლობაა, ყოველი უსამართლოდ დაპატიმრებული კი -

როდესაც ვხედავთ, როგორ აქცევს სისტემა ადამიანებს მორალურ და ფიზიკურ ტყვეებად, რადგან ეს ადამიანები თავიანთი იდეებისა და ღირებულებების ერთგულნი არიან.

სინდისის პატიმრობა მორალური პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს, როდესაც მზად ხარ აიტანო ტკივილი, ტანჯვა, საყვარელ ადამიანებთან განშორება, ძალადობა, გამოკეტვა, მაგრამ არ დათმო თავისუფალი არჩევნის უფლება. ნესტან-დარეჯანი ასეთი მორალური დილემის წინაშე დგება - ის ან მამის ნებას უნდა დაემორჩილოს და გათხოვდეს უცხოტომელ სასიძოზე, რომელიც არც კი უნახავს, ან მამის სურვილი უგულებელყოს და თავისუფლებისთვის იბრძოდეს. მან თავიდანვე იცის, რა შეიძლება მოჰყვეს ფარსადანთან დაპირისპირებას - სამშობლოს დატოვება, დევნა, მიჯნურთან განშორება, ცრემლი და ტკივილი, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანია მისთვის, ერთი მხრივ, ინდივიდუალიზმის შენარჩუნება, მეორე მხრივ კი, სამართლის აღსრულება, რომ ის კონფორტაციის გზას ირჩევს და არა კონფორმიზმისას, რადგან სიყვარული მისთვის თავისუფლებისა და ღირსების

საკითხია და არა უბრალოდ რომანტიკული გრძნობის გამოხატულება ან მამისთვის სასურველი პოლიტიკური თუ სოციალური მისწრაფების აღსრულება.

რომელიც გვასწავლის, რომ თავისუფლება და ღირსება იმდენად მაღალი ღირებულებებია, რომ მათთვის ბრძოლა ამართლებს ნებისმიერ მსხვერპლსა და ტანჯვას. დღეს ჩვენი სინდისის

დღეს ჩვენი სინდისის პატიმრები ამას საერთო კეთილდღეობისთვის პიროვნული თავგანწირვით ამტკიცებენ და ეს იმ ღირებულებების შენარჩუნებას ემსახურება, რომლებსაც ნებისმიერი ერის თავისუფლება ეფუძნება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნესტანის ორი წერილი, რომლებსაც ის ქაჯეთიდან აგზავნის. ერთი ფატმანისთვისაა, და ეს სამადლობელო წერილია თანამონაწილეობისთვის, მეორე კი - სატრფოსათვისაა განკუთვნილი, რომელშიც ჩანს, რომ პატიმრობა მისთვის გამოწვევაა, რომელიც საბოლოოდ მათ სიყვარულს კიდევ უფრო გააძლიერებს. ტყვეობაში განცდილი ტკივილი კი იმედისა და მიზნისთვის შეწირული მსხვერპლი.

ნესტან-დარეჯანის ამბავი თანამედროვე საქართველოს მორალურ გაკვეთილად იქცა,

პატიმრები ამას საერთო კეთილდღეობისთვის პიროვნული თავგანწირვით ამტკიცებენ და ეს იმ ღირებულებების შენარჩუნებას ემსახურება, რომლებსაც ნებისმიერი ერის თავისუფლება ეფუძნება.

დაბოლოს, როგორც მერაბ კოსტავა იტყობდა: ჩიტი ზეცაში თავისუფლების მხოლოდ აბსტრაქტული სიმბოლოა, ნამდვილი თავისუფლება ციხეში ჩნდება, ციხის კედლებთან ბრძოლის დროს.



დავით ხვადაგიანი

ნაბრძანებია დაივიწყოთ!

„ნურასოდეს დაივიწყებ, რომ რაც იყო, იგივე არის და რაც არის, იგივე იქნება მარად. მიიქეც მთელი დრამებისა თუ ცალკეული სცენარების ჭვრეტად, რომელთაც პირადი ცდითა თუ მემატიანეთა გადმოცემით იცნობ; წარმოიდგინე, მაგალითად, ჰადრიანეს, ანტონიუსის, ფილიპეს, ალექსანდრესა თუ კრეზუსის სასახლის კარნი: სპექტაკლი ყველგან ერთი და იგივეა, იცვლებიან მხოლოდ მსახიობები.“

მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“ (X, 27)

ათასწლეულებმა გაიარა მას შემდეგ, რაც გარდაცვლილი მარკუს ავრელიუსის სალაშქრო კარავში მისი „ფიქრები“ იპოვეს, მაგრამ განმანათლებელი იმპერატორის „სპექტაკლს“ არათუ მნიშვნელობა დაეკარგა, არამედ მსგავსი სიზუსტითა და შინაარსით ვერავინ შეძლო, ზუსტად აღენერა ისტორიისა და ისტორიული მეხსიერების არსი.

ისტორიული მეხსიერება, განსაკუთრებით კი, უახლესი ისტორიის სწავლა და გააზრება, ევროპული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნიშანი და უპირატესობაა. 2014-2018 წლებში ასიწელი შესრულდა პირველი მსოფლიო ომის (მაშინ „საერთაშორისო ომად“, „დიდ ომად“ წოდებული) დაწყება/დასრულებიდან. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა საუკუნის წინ ჩართული იყო მსოფლიო ომში, რომელმაც კაცობრიობის განვითარების კურსი შეცვალა. ამ ომმა დაასრულა დიდი იმპერიების ეპოქა და დასაბამი მისცა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ წესრიგს. ასი წლის თავზე ამ ქვეყნებმა ეს ომი სათანადოდ გაიხსენეს და არაერთი სამეცნიერო კონფერენცია და ღონისძიება გამართეს.

საქართველოსთვის 2010-იანი და 20-იანი წლები, ისევე, როგორც სხვა ბევრი ქვეყნისთვის, ძალიან მნიშვნელოვან მეხსიერების თარიღებთან იყო დაკავშირებული, თუმცა

საქართველოში არსებულ რუსულ რეჟიმს აზრადაც არ მოსვლია, ისტორიული მეხსიერების აღდგენის პროცესი დაეწყო - პირიქით, რეჟიმმა, 2012 წლიდან მოყოლებული, მეთოდურად დაიწყო საარქივო სივრცეებზე წვდომის შეზღუდვა, რაც საზოგადოებას მუდმივად ყურადღების მიღმა რჩებოდა და მკვლევართა მცირე ჯგუფების პრობლემად დარჩა.

2023 წელს საარქივო პოლიტიკის პერმანენტული გაუარესება ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა, როდესაც რუსულმა რეჟიმმა ჩაკეტა შსს აკადემიის არქივი, რომელშიც გაერთიანებულია სუკ-ისა (КГБ) და საქართველოს კომუნისტური პარტიის არქივები და რომელთა კვლევის გარეშეც წარმოუდგენელია საბჭოთა წარსულისა და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში ჩადენილი დანაშაულების გამოაშკარავება.

ასევე უკიდურესად გართულებულია იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის, განსაკუთრებით, უახლესი ისტორიის არქივის, ფონდებზე წვდომაც. რაც მთავარია, 2023 წლის ოქტომბერში გაურკვეველ ვითარებაში დაიწვა ეროვნული არქივის კინოსაცავი, რაც უდიდესი დანაკარგია უახლესი ისტორიის კვლევის პერსპექტივისათვის. ამ საკითხზე დღემდე დუმს სისტემა და გამოუძიებელია, რამ გამოიწვია ხანძრის გაჩენა.




ევროპა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისს და დასასრულს

მნიშვნელოვანია, რომ სათანადო ინფრასტრუქტურა და შენობა-ნაგებობები არ გააჩნია ამ უმნიშვნელოვანეს „კაგებებს“ და კომპარტიის არქივებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ სტრუქტურულ კუთვნილებაზე, როდესაც ნებისმიერ განვითარებულ ქვეყნებში, მით უმეტეს აღმოსავლეთ ევროპის, განსაკუთრებით პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების მაგალითს თუ ვნახავთ, რომელთაც ტოტალიტარული წარსული და საბჭოთა რუსული ოკუპაცია აქვთ გამოცდილი - საარქივო ფონდები ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტების დაქვემდებარებაშია. ის გამჭვირვალე სისტემაა და უმნიშვნელოვანეს კვლევებს აწარმოებს, მაშინ, როდესაც საქართველოს შემთხვევაში საარქივო ფონდები ყველაზე გაუმჭვირვალე და რეპრესიულ სისტემას, იუსტიციისა და შს სამინისტროების დაქვემდებარებაშია.

ჩვენი უახლესი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესები, რომლებიც ძირითადად წინა საუკუნის ათიან, ოციან და ოცდაათიან წლებში ვითარდებოდა და ჩვენს დღევანდელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებზე ისევ ახდენს საბედისწერო გავლენას, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი თანამედროვეობის ათვლის წერტილია. ეს ისტორია პირველი მსოფლიო ომის მსვლელობიდან და მისი შედეგებით იწყება; საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ჩართული იყო პირველი მსოფლიო ომის საბრძოლო მოქმედებებში. საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე გადიოდა პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საბრძოლო მოქმედებების თეატრი - ამიერკავკასიის ფრონტი. როგორც ამიერკავკასიის ფრონტზე, ისე დასავლეთის ფრონტზე ომში რუსეთის


2023 წელს სააკიპო პოლიტიკის პეიზაჟში გზაგადასასრული რეკონსტრუქციის დასასრულადად მივიღა, როდესაც რუსულმა რეჟიმმა ჩააკაზა შსს აქაღაპიის აქივი, რომელშიც გაერთიანებულია სუქ-ინა (КГБ) და საქართველოს კომუნისტური პარტიის არქივები და რომელთა კვლევის გაკეთება წარმოუდგენელია საბჭოთა წარსულისა და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში ჩადენილი დანაშაულების გამოაშკარება.



არმიაში განვეული ათობით ათასი ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი მონაწილეობდა, რომელთა შორის წარმოუდგენლად დიდი იყო მსხვერპლი, თუმცა ეს უზარმაზარი დანაკარგი დღეს სრულიად ნაშლილია ჩვენი კოლექტიური მეხსიერებიდან და მხოლოდ პრესისა თუ საარქივო საცავების გაყვითლებულ დოკუმენტებშია ჩაკარგული. საზოგადოებას დღემდე მხოლოდ მეორე მსოფლიო ომში საქართველოს კატასტროფული ადამიანური დანაკარგები ახსოვს. თუმცა ეს ზეპირი და ზედაპირული მეხსიერებაც დავიწყებისა და ნაშლის პირასა, არასათანადო კვლევებისა და მეხსიერების პოლიტიკის არარსებობის გამო.





2023 წლის ოქტომბერში გაუჩიველად
ვიტარებთ დაინვა ეროვნული
აქტივის ქინოსაშავი, რაც უდიდესი
დანაკარგი უახლესი ისტორიის
ქვეყნის პენსიონატისათვის. ამ
საქმისა და დღემდე დღეს სისხლზე
და გამოუქიებელია, რაც გამოიწვია
ხანძრის გარდა.



პირველი მსოფლიო ომის ისტორია საქართველოსთვის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნისთვის, უმნიშვნელოვანესია, რადგან სწორედ პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა და შემდეგ პარიზის საზავო კონფერენციამ გადაწყვიტა პატარა ერების დამოუკიდებლობის ბედი, რაც მანამდე შეუძლებელი იყო. მაგალითისთვის, საინტერესოა პატარა ექსპერიმენტი - თუ ევროპის 1914 და 1918 წლის რუკებს მოვძებნით გუგლის საძიებო სისტემით, ევროპის სრულიად განსხვავებულ ორ პოლიტიკურ რუკას აღმოვაჩენთ; 1914 წელს დიდი იმპერიების და უკვე 1918 წელს - ბევრი დემოკრატიული რესპუბლიკით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ნაწილში, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი ზუსტად ამ

პერიოდს, პირველი მსოფლიო ომის დასასრულს და დიდი იმპერიების ნგრევას უკავშირდება, როდესაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დაამხო რუსეთის იმპერია, მალე საქართველო დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა ხდება. 1918-1921 წლების საქართველოს ისტორია საგულდაგულოდ ნაშალა და გააყალბა საბჭოურმა რუსულმა პროპაგანდამ, რამდენიმე თაობის, თუნდაც განათლებულ და ინტელექტუალურ ნაწილს, ამის გამო ან ზერეფე წარმოდგენა აქვს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ამ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდზე, ან პროპაგანდის მიერ დამახინჯებული და გაყალბებული ვერსია აქვს ჩაბეჭდილი ცნობიერებაში. დღესაც ფართო საზოგადოებისთვის სრულიად უცნობია 1918-1921 წლების ისტორია, როდესაც ფოდალური ეპოქის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს, პირველად იქმნება თანამედროვე, მოდერნული, დემოკრატიული ქართული



სახელმწიფო, სახელმწიფო რომლის სამართალმემკვიდრეებიც დღეს ვართ.

ხშირად სოციალურ თუ სხვა სადისკუსიო სივრცეში დღემდე მიდის უშინაარსო კამათი, თუ რომელია საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი თუ 9 აპრილი? 100 წლის სახელმწიფო გვაქვს თუ 34? მაშინ, როდესაც ორივე დამოუკიდებლობის აქტის ვიზუალური აღქმისას პასუხი მარტივი ხდება - 1918 წელს შეიქმნა თანამედროვე ქართული სახელმწიფო, რაც ძალადობრივად შეწყდა 1921 წელს საბჭოთა რუსული ოკუპაციით,


ჩვენი უახლესი ისტორიის ყვალაზა გნიშვნალოვანი პოზუსაბი, რომდებოზ ძიჩითაქდ წინა საუკუნის ათიან, მოხიან და მოხაითიან წღაზში ვითაჩღებოზა და ჩვენს ღღავენდღ საზომადღოზბჩივ და პოლიტიკუკ პროზუსაზუხ ისაჲ ახღენს საბადისწოკო გავღენას, შიიქღაბა ვითქვათ, კოზ ჩვენი თანამედღოვოზიის ათოღლის წაჩიღიღა.

რომელიც არ უღიარებია ქართველი ხალხის კანონიერ წარმომადგენელ მთავრობას და დამფუძნებელ კრებას, ხელი არ მოუწერია კაპიტულაციაზე და ემიგრაციაში ათწლეულების განმავლობაში იბრძოდა რუსული ოკუპაციის არაღიარებისთვის, რის საფუძველზეც 1991 წლის 9 აპრილს კანონიერად აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

**ზაქარი და ზადაკიური მენსიკინებაც
დაიწყებინა და წაშლის პიკასა,
აკასათანაფო კვდევებისა
და მენსიკინის ჰოლიზიკის
აკისხეობის გეგო.**



დავინყებასა მიცემული ან ასევე დამახინჯებულადაა აღქმული 1917-1918 წლების განმავლობაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები სამხრეთ კავკასიაში, რაც 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმის მოწვევასა (რომელმაც იურიდიულად გააფორმა ამიერკავკასიის რუსეთიდან ჩამოშორება) და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის (ადფრ) არსებობასთანაა დაკავშირებული, რომელშიც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი იყვნენ გაერთიანებული. მითებისა და ლეგენდების თანახმად, რომლებსაც შემდგომ, რა თქმა უნდა, საბჭოთა პროპაგანდა ახალისებდა,



ამიერკავკასიის რესპუბლიკა მაშინდელი დომინანტი პოლიტიკური პარტიის, სოციალ-დემოკრატების, ლიდერებმა თითქოსდა იმიტომ შექმნეს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას არ ჩქარობდნენ. თუმცა სინამდვილე სულ სხვაგვარია, რადგან ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური ცენტრი თბილისში იყო და ადფრ მთავრობაშიც ქართველი სოციალ-დემოკრატები დომინირებდნენ - მთავრობის თავმჯდომარე ქართველი აკაკი ჩხენკელი იყო, ხოლო სეიმის თავმჯდომარე - ასევე ქართველი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე გახლდათ. ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო და პოლიტიკური პროექტი იყო სამხრეთ კავკასიის ერთიანობისა და ბაქო-ბათუმის სტრატეგიული მაგისტრალის შენარჩუნების საკითხში, რაც დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოების მუდმივ ინტერესს უზრუნველყოფდა რეგიონში, თუმცა განსაკუთრებით სომხეთისა და აზერბაიჯანის დაპირისპირებამ ადფრ ფუნქციონირება შეუძლებელი გახადა და მალე დაასრულა მისი არსებობა.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი გამოწვევა საგარეო მფარველისა და ორიენტირის პოვნა იყო, რაც გარდამავალ, მძიმე საერთაშორისო მდგომარეობის ფონზე ახლად შექმნილ ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოს საგარეო აგრესიისგან დაიცავდა. ასეთი გერმანია გამოდგა, რომლის მხარდაჭერითაც რეალისტური გახდა დამოუკიდებლობის გამოცხადება და ოსმალეთის არმიის აგრესიის შეჩერება, თუმცა მალე, 1918 წლის ნოემბერში, მსოფლიო ომი დამთავრდა, გერმანია დამარცხდა, რამაც საქართველოს მთავრობა და დიპლომატიური კორპუსი ისევ დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა. აქ ჩნდება დამოუკიდებლობის აქტში ჩანერგილი „ნეიტრალიტეტი საერთაშორისო ომიანობაში“, რაც რეალურად დიდი ევროპული იმპერიების ომში მიუმხრობლობას ნიშნავდა და არა ნეიტრალიტეტს რუსეთის ფაქტორის გამო, რაც დღემდე არასწორად აღიქმება. ზუსტად ამ კონტექსტში გამარჯვებული



რუსეთ-საქართველოს ომის პარალელურად, 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის ისტორიული უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა, ორწლიანი შუაწყობილი მუშაობის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის პროგნოზირებას ღვაწლი აღნიშნავენ საერთაშორისო ექსპერტები. კონსტიტუციამ გააუქმა სიკვდილით დასჯა, რაც საქართველოს განვითარებისა და ევროპეიზაციის სიბოლო იყო, თუმცა კონსტიტუციამ ჩააღიარა სხოვანებაში მხოლოდ კავშირით იმპერია, კავშირით კვირის საქართველოში საჭმლად რუსული ოკუპაციის პირობებში, პირობით, სიკვდილი და აღაშინაების გასობივნი განადგურება გახდა ჩვეულებრივი მოვლენა.


1922-1923 წლებში ხდება ისეთი ისტორიული მოვლენები, რომლებიც ააშინებდა პოლიტიკურ სხოვნებაში გადაწყვეტვას როდესაც ასრულებენ, თუმცა დღეს საგუდაგულოდ დაინფუაზური და აპოშტილია ჩვენი ქოლექტიური მახსოვრების: ქართული დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების „თვითღიჟიღიღი“ პრესის, რომელიც საოქუპაციო ხელისუფლებისა და მისი ტერიტორიის განაწესის - „ჩაქას“ მიერ იყო იკრებოდა ოკუპაციური, განსაზღვრულია საქართველო ქოლექტიური პარტიები, რაც „ნახირონად-შქლონისტების“ მოქალაქის სახელითაა ხნობილი, რომელსაც საქართველო ქოლექტიური პარტიის ელიტა აუბნებდა სეზონ ორჯონიძისა და კავშირის (რუსეთის ქოლექტიური პარტიის კავკასიის ბიუროს, შებენ - ამიერკავკასიის სახარო ქოლექტივი შებენი პრესისგან გამართვამას, რომელიც მოსკოვიდან სტალინის დახმარებით განაწესდა ორჯონიძისა, რასაც საჭმთა საქართველო მთავრობის სრული შებენილოებით გადაგზავა მოყვას პრესისთვის ნიშნად და შებენი ჩაქიის მიერ მათი „წმენით“ გაჩქარდა.

ბრიტანეთი ცუდი თვალთ უყურებდა დამარცხებული მოწინააღმდეგის - გერმანიის ყოფილ მოკავშირე საქართველოს, 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ტრაგიკული ომიც ამ კონტექსტის გამოძახილი იყო, რადგან სომხეთის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა ბრიტანეთის მოკავშირე იყო. მისი და ბრიტანელების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა.

საქართველოს მაშინდელი მთავრობის, პოლიტიკური ელიტისა და დიპლომატიის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მათ შეძლეს ბლოკადის გარღვევა და 1920 წლის

იანვარში საქართველო დე-ფაქტო იქნა აღიარებული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რასაც ერთ წელიწადში, 1921 წლის 27 იანვარს, მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოს მიერ (სადაც წამყვან როლს ბრიტანელები და ფრანგები ასრულებდნენ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულფასოვანი იურიდიული - დე-იურე აღიარება მოჰყვა. ამაში დიდი წვლილი საფრანგეთის ახლად არჩეულ პრემიერ-მინისტრმა, არისტიდ ბრიანმა, შეიტანა, რომელიც აქტიურად განიხილავდა რუსეთისგან მომავალ საფრთხეს და მის შესაკავებლად „სანიტარულ კორდონად“ რუსეთის იმპერიისგან გათავისუფლებული ერების დახმარებას. ის მათი სახელმწიფოებრიობის გამაგრებასა და მათთვის იარაღის მიწოდებაში ხედავდა გამოსავალს. იურიდიული აღიარების შემდეგ საქართველოს ერთა ლიგაში მიღება უკვე რეალისტური გახდა და მცირე დროის საკითხი იყო, რაც კარგად ესმოდა საბჭოთა რუსეთს, ვლადიმერ ლენინის დაგანსაკუთრებით რუსეთის ეროვნებათა საკითხების სახალხო კომისარ იოსებ სტალინს, რადგან საქართველოს თავისუფლება და ევროპული კურსი მისთვის პირად საფრთხეს წარმოადგენდა მოსკოვში დაწყებულ სამკვდრო-სასიცოცხლო პოლიტიკურ თამაშში. ზუსტად ამ მომენტში შეძლო სტალინმა ლენინის დარწმუნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის დასაწყებად და ინტერვენციის გადაწყვეტილებაც ზუსტად იმ დღეს, 1921 წლის 27 იანვარს, მიიღეს მოსკოვში, რა დღესაც ევროპის მიერ საქართველო დე-იურედ იქნა აღიარებული.

1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე და საბჭოთა რუსულ ოკუპაციამდე დემოკრატიულმა საქართველომ რამდენჯერმე შეძლო როგორც რუსეთის მოხალისეთა არმიის („თეთრი რუსეთი“) შეჩერება აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთად, რომელთანაც 1919 წელს სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა, ისე საბჭოთა რუსეთის („წითელი რუსეთი“) 1920 წლის თავდასხმის მოგერიება, რასაც მუდმივად თან ახლდა საბჭოთა რუსეთის მიერ



მეწვევები ევროპის ბურჟუაზიის კანონით მოქმედებს.

დღე იმდენი კიახვაც რა აზრი აქვს მწვევიების შვიარაღებულ გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ?

მე მჯერა არ შეარება, რომ მწვევიებმა მწვენიერად იცოდნენ, რომ ვერ შესძლებდნენ ხელისუფლების დაპყრობას. ეს მათ კარგათ ესმოდათ.

საბჭოთა იქნებოდა გვერდშიათქვას მწვევიეთა შორის მიიპოვებოდეს ისეთი რეგენი, რომელსაც ჰქონოდა აზრად, რომ ჩვენ მთელს მწვევიებს „გადამსცენდა“ მათ ხელისუფლებას—ამ ატომ ექვს გარეშეა, რომ გამოისცდის მიზანი იყო დასავლეთ-ევროპის მწვევი-თულ მთავრობათა გულსმოსკვებად მოეწყოთ საქართველოში სკანდალი და ამით ყველა ქვეყნების ბურჟუაზიისათვის მიეცათ საშუალება ერთხელ კიდევ დაეხანათ პროლეტარულ საბჭოთა ქვეშარისათვის.

ეს გამოსვლა კარგად მწვევიებს ნაკანხვევ აქვთ დახედული ღვრისა და ბურჟუაზულ მთავრობების და განაკუთრება ხაფიაგეთის მთავრობისათვის!

განთავისუფლებული საქართველო

სამი წლის ბორკილების ტარების შემდეგ საქართველოს მუშები და გლეხები განთავისუფლდნენ, მოღალატე მწვევიების ტირ. ნაიდ. ნ. 25 თებერვალს საქართველოს დედა ქალაქში აფრიად და წითელი დრო შა, 25 თებერვალს დიდხინის დატანჯულმა და ყოველ მხრივ მწვევრობებულმა მუშებმა პირველი თვისუფლად ამოისუნთქეს. მო-


ორგანიზებული აჯანყებების განეიტრალება და აგენტურასთან შეუწყვეტელი ბრძოლა. თუმცა 1921 წლის საბედისწერო ომში საქართველო დამარცხდა. რუსეთმა ერთი ნაბიჯით დაასწრო ევროპას. მიუხედავად იმისა, რომ დეიურე აღიარებასთან ერთად საფრანგეთმა საქართველოსთვის უკვე იარაღის მოწოდება დაიწყო და რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას შავ ზღვაში მყოფი ფრანგული სამხედრო ფლოტი საარტილერიო მხარდაჭერასაც უწევდა ქართულ ჯარს აფხაზეთში რუსეთის ყუბანის მე-9 არმიის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთ-საქართველოს ომის პარალელურად, 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველოს

სახელმწიფოებრივი არსებობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა, ორწლიანი შეუწყვეტელი მუშაობის შემდეგ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის პროგრესულობას დღემდე აღნიშნავენ საერთაშორისო ექსპერტები. კონსტიტუციამ გააუქმა სიკვდილით დასჯა, რაც საქართველოს განვითარებისა და ევროპეიზაციის სიმბოლური მოვლენა იყო, თუმცა კონსტიტუციამ რეალურ ცხოვრებაში მხოლოდ რამდენიმე კვირა იმოქმედა, რამდენიმე კვირაში საქართველოში საბჭოთა რუსული ოკუპაციის პირობებში, პირიქით, სიკვდილი და ადამიანების მასობრივი განადგურება გახდა ჩვეულებრივი მოვლენა.

საბჭოთა პროპაგანდის მიერ დამუშავებული მითის მიხედვით, რაც შემდგომ გავრცელებულ ლეგენდად იქცა, „საქართველოს მთავრობა გაიქცა და ქვეყანა მიატოვა“. სინამდვილეში, მაშინდელი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მცირე ნაწილი წავიდა ემიგრაციაში, რაც 1921 წლის 17 მარტს ბათუმში გამართულმა დამფუძნებელი კრების უკანასკნელმა სხდომამ დაადგინა, რათა მთავრობის მეთაურის ხელში ჩაგდება მტერს მთავარი მიზნისთვის არ

ჩვენი კომუნისტური მეხსიერებიდან აპოზიფია და არ აჩვენებს აჩხუბითი უნდაგანგებუნი ნაშრომი ისეთი კაზანტროფული მოვლანი შესახებ, რომელმაც 1920-იან წლებში დაშვებული „ნაიის“ პოლიტიკის შედეგ მთლიანი აპონომიკური განვითარების მოვლანი შესახებ და შეატობინავე დღემდე მის ნაგებოთკ შედეგებს ვიპოვით, რომლის იყო კომუნისტური წყნა. საგულდაგულდა დავისუბავდი კომუნისტური წყნის 1920-იანი წლების ბოლოდან 1930-იანი წლების შუაგულ გვიან წინააღმდეგობის პირობის, რომელსაც მოსახლეობა მასობრივად აუხმადრდა კომუნისტურ მოვლანს. ამ პირობის აჩანაქლები მსხვერპლი და შეატაქებები მოჰყვა, ვიდე 1920-იანი წლების წინააღმდეგობის დროს.



**1937-1938 წლებს ზეკოგე დასკულა
მთელი ეკოქა, დამოუქიდეზომიდან
დაწყებული კუსული ოქუპაციით
გეგეკედეზული, დე უიქიქუად გეანადგურა
იე დეგეანების თაოქა, კომდეგის
დამოუქიდეზელ სეკეკედელოს ქენიდეან,
ასევე ისინი, ვინე დამოუქიდეზელი
სეკეკედელოს გენადგურებასე დე
ოქუპაციისი მონაწიდეოქდე.**


მიეღნია, არ მოეხდინა ოკუპაციის იძულებით ლეგიტიმაცია. აღსანიშნავია, რომ ქუთაისში ცეცხლის შეწყვეტის მოლაპარაკებებზე საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, ხელი არ მოაწერა კაპიტულაციას. მთავრობისა და დამფუძნებელი კრების უმრავლესობა საქართველოში დარჩა და წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩაება. მაგალითისთვის, საბჭოთა რუსულმა რეპრესიებმა ფიზიკურად გაანადგურა (დახვრიტა) დამფუძნებელი კრების 51 დეპუტატი, 11 მათგანი 1924 წლის აჯანყებისას, სხვები 1937-1938 წლების დიდი ტერორისას, დანარჩენების უმრავლესობა კი რეპრესირებული იყო - არაერთხელ

დაპატიმრებული და გადასახლებული (იხ. სქემა).

1921 წლის დიდი დემონსტრაციებით, რომელთაც გამუდმებით არბევდა რუსული საოკუპაციო რეჟიმი, სვანეთის აჯანყებით დაწყებული, 1922 წელს ხევსურეთის აჯანყებით გაგრძელებული, წინააღმდეგობის მოძრაობა თანდათან ძალას იკრებს, ორგანიზდება და მრავალრიცხოვანი ხდება, რაც 1922 წელს დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომი) შექმნით გრძელდება, სადაც ქართული პოლიტიკური პარტიები; სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, სოციალ-რევოლუციონერები, ეროვნულ-დემოკრატები და სხივლები თანხმდებიან საბჭოთა რუსულ საოკუპაციო რეჟიმთან ერთობლივ ბრძოლაზე.

1922-1923 წლებში ხდება ისეთი ისტორიული მოვლენები, რომლებიც მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ, თუმცა დღეს საგულდაგულოდ დავიწყებული და ამოშლილია ჩვენი კოლექტიური მეხსიერებიდან: ქართული დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების „თვითლიკვიდაციის“ პროცესი, რომელიც საოკუპაციო ხელისუფლებისა და მისი ტერორის მანქანის - „ჩეკას“ მიერ იყო იძულებით ორგანიზებული, განხეთქილება საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, რაც „ნაციონალ-უკლონისტების“ მოძრაობის სახელითაა ცნობილი, როდესაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ელიტა აუმხედრდა სერგო ორჯონიკიძისა და კავბიუროს (რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს, შემდეგ - ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი) ფაქტობრივ არაფორმალურ მმართველობას, რომელიც მოსკოვიდან სტალინის დახმარებით გაანეიტრალა ორჯონიკიძემ, რასაც საბჭოთა საქართველოს მთავრობის სრული შემადგენლობით გადადგომა მოჰყვა პროტესტის ნიშნად და შემდეგ რეჟიმის მიერ მათი „წმენდით“ გაგრძელდა.

პოლიტიკური კრიზისის კულმინაციად იქცა 1924 წლის 28 აგვისტოს ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება, რომელიც დამარცხდა, თუმცა საოკუპაციო რეჟიმი მძლავრად შეარყია.



ამ აჯანყებას რუსული საოკუპაციო რეჟიმისგან მძიმე რეპრესიები მოჰყვა. ფიზიკურად განადგურებული იქნა დაახლოებით 5 000 აჯანყებული, რაც დიდი დანაკლისი იყო წინააღმდეგობის მოძრაობისთვის. თუმცა წინააღმდეგობის მოძრაობა მაინც არ შეწყვეტილა და გადარჩენილი მებრძოლები

და აქტივისტები შემდგომშიც იბრძოდნენ არალეგალური ორგანიზაციების აღდგენა-გამაგრებისთვის.

1926 წლიდან გრძელდება საქართველოს კომუნისტური პარტიის შიდა განხეთქილება, რაც ძირითადად ტროცკისტული მოძრაობის სახით ვითარდება. მასში ყოფილი ნაციონალ-უკლონისტებიც აქტიურად არიან ჩართული, რაც ისევ მასობრივი რეპრესიებითა და დაპატიმრება-გადასახლებით მთავრდება.

ჩვენი კოლექტიური მეხსიერებიდან ამოშლილია და არ არსებობს არცერთი ფუნდამენტური ნაშრომი ისეთი კატასტროფული მოვლენი შესახებ, რომელმაც 1920-იან წლებში დაშვებული „ნეპის“ პოლიტიკის შემდეგ მთლიანი ეკონომიკური განვითარების მოდელი შეცვალა და ფაქტობრივად დღემდე მის ნეგატიურ შედეგებს ვიმკით, როგორც იყო კოლექტივიზაცია. საგულდაგულოდაა დავიწყებული კოლექტივიზაციის 1920-იანი წლების ბოლოდან 1930-იანი წლების შუამდე მძიმე წინააღმდეგობის პროცესი, როდესაც მოსახლეობა მასობრივად აუმხედრდა კოლმურნეობების შექმნას. ამ პროცესს არანაკლები მსხვერპლი და შეტაკებები მოჰყვა, ვიდრე 1920-იანი წლების წინააღმდეგობის დროს.



1917-1921 და უბედურ 1921-1938 წლებს ისტორია, შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელო, სახელმძღვანელო დამოუკიდებლობისა და რუსული ოკუპაციის პროცესის, რომელიც დღემდე მივიწყებულია და აჩივებშია საგულდაგულოდ გამოკეტილი.

რუსული პროპაგანდა, რომელიც ძირითადად უახლესი ისტორიის გაყალბების პროცესზეა დაფუძნებული, ამ პროცესის გათვით ხშირად ახერხებს მოწინააღმდეგეების დაზოკინებას და მანიპულირებას.

ლიბუშაძის გიფი 1921 წლის შემდეგ

1921 წლის თებერვალში, ოკუპაციის დროისათვის, დამფუძნებელი კრების 145 წევრიდან, მოქმედი და ყოფილი დეპუტატების რიცხვი იყო

{ 6 გარდაიცვალა 1921 წლამდე }



ლიბუშაძის მარტისათვის წლები



რეალურად, 1937-1938 წლების მასობრივი რეპრესიები და ტერორი, გარდა კომუნისტური პარტიის ძველი კადრებისა და ინტელიგენციის წმენდისა, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ნაშთების განადგურებისა, ძირითადად იყო შეძლებული გლეხების ფენის წმენდა-განადგურება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა რეჟიმის მტაცებლურ პოლიტიკას, რაც ძირითადად მთლიან კოლექტივიზაციაში გამოვლინდა. 1937-1938 წლების ტერორმა დაასრულა მთელი ეპოქა, დამოუკიდებლობიდან დაწყებული რუსული ოკუპაციით გაგრძელებული, და ფიზიკურად გაანადგურა იმ ადამიანების თაობა, რომლებიც დამოუკიდებელ საქართველოს ქმნიდნენ, ასევე ისინი, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს განადგურებასა და ოკუპაციაში მონაწილეობდა.

1917-1921 და შემდეგ 1921-1938 წლების ისტორია, შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოა, სახელმძღვანელო დამოუკიდებლობისა

და რუსული ოკუპაციის პროცესის, რომელიც დღემდე მივიწყებულია და არქივებშია საგულდაგულოდ გამოკეტილი. ზემოაღნიშნული პრობლემების გამო განადგურების საფრთხის წინაშე უთვალავი ისტორიული დოკუმენტი, რომლებითაც შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ და ვისწავლოთ, როგორ დაიწყო ის ისტორიული პროცესი 1918 წელს, რომელიც დღემდე გრძელდება და კარგად გავაცნობიეროთ, როგორი იყო დასაწყისი, სად ვართ დღეს და რა სამომავლო ამოცანები გვაქვს, რაც თანამედროვე აქტიური მოქალაქისთვის იქნება ფაქტობრივი სოციალური იმუნიტეტის ტოლფასი, რითაც მარტივად შეძლებს რუსული პროპაგანდისტული ანკეხების არიდებას და განეიტრალებას, რადგან რუსული პროპაგანდა, რომელიც ძირითადად უახლესი ისტორიის გაყალბების პროცესზეა დაფუძნებული, ამ პროცესის მართვით ხშირად ახერხებს მოწინააღმდეგეების დეზორიენტაციასა და მანიპულირებას.

ბუბა კუდავა



სტრიქონაუი ჩაკარბული სივართლე

აქა აბაპი დავით
აღმაშენებლის
გამეფებისა

აირია ქვეყანა და გიორგი II მიხვდა, რომ მართვის ძალი აღარ შესწევდა, ტახტიდან გადადგა და სეფეგზა 16 წლის შვილს დაუთმო, დავითს კოჭებში ეტყობოდა, რაც იყო და ამიტომ სუსტმა მამამ ენერგიით სავსე ჭაბუკი თავადვე გაამეფა, ამან კი, დახეთ, რარიგ გაამართლა, ერთადერთი ნორმალური, რაც უნიათო მეფე გიორგიმ გააკეთა, სწორედ ეს იყო, მომავალ აღმაშენებელს აწმყო რომ დაულოცაო – კარგა ხანს ასე ვსწავლობდით საქართველოს ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი და საამაყო პერიოდის დასაწყისს. კარგა ხანს კი არა, ბევრს ახლაც ასე სწამს. თუმცა რაც დრო გადის, მით უფრო მეტს უჩნდება კითხვები და ეჭვები, რომ აქ რაღაც ისე არ არის.

როგორც ჩვენში ფესვამდგარი ბევრი თეზა, დავით აღმაშენებლის გამეფების ეს ვერსიაც „ქართლის ცხოვრებიდან“ იღებს სათავეს. მაგრამ იქ რომ ასე წერია, მაშ, მართლაც ასე იყო თუ თხზულების ავტორს სურს, ასე ვიცოდეთ – ეს ხომ ის კითხვაა, ყოველ ჯერზე რომ უნდა დავუსვავთ საკუთარ თავს მათიანეთა ფურცლისას.

დავინწყით იმით, რომ ჩვენში მსგავსი პრეცედენტი არ გვქონია. ასე, საღსალამათმა კაცმა, მოიხსნა სამეფო გვირგვინი და საკუთარი ხელით საკუთარ შვილს დაადგა თავზე. არც თანამეფედ, თანამოსაყდრედ უკურთხებია (ასეთები გვქონია), არც მონასტერში წასულა (აგეთებიც იყო) და არც სასიკვდილო სარეცელზე წოლილა. აი ასე, ერთხელაც, გაიზბრა რა უსუსურიც იყო და გადადგა! გადადგა და წავიდა. წავიდა და ტახტი შვილს დაუტოვა. დაახლოებით 50 წლის კაცმა 16 წლის ჭაბუკს!

გავაგრძელოთ იმით, რომ ასეთი შემთხვევები არც მსოფლიო ისტორიაში შეგხვდებათ მრავლად. ტრადიცია და გამოცდილება ასეთი გახლავთ: მეფე მემკვიდრეს ან თანამოსაყდრედ ისვამს, ან კვდება, ან მას კლავენ, ან ატუსაღებენ, ან სასულიერო მოღვაწეობას ირჩევენ და ამა სოფელს ეცლება. რად არ უტოვებენ ჭარმაგი თუ მოღალეული მეფენი მშვიდად და თვისითა ნებითა ენერგიულ მემკვიდრეებს ტახტს – ეს კიდევ ცალკე საკითხავია. მრავალ მიზეზთაგან (ძალაუფლების ჟინი, უგვირგვინო მეფეყოფილის მყიფე უსაფრთხოება და მისთანანი) უმთავრესი ალბათ ესაა: პრეცედენტები საშიში რამაა, ვინძლო ტენდენციად იქცეს, მადას რომ აღუძრავს ყოველ მომდევნო უფლისწულს. ამიტომ კეთილი ინებე და დაელოდე საკუთარ ჯერს და სვეს – ამგვარი იყო სამეფო ფილოსოფია.

მივუბრუნდეთ ჭაბუკი დავითის გამეფების შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ერთადერთ (!) წყაროს და ყური მივუგდოთ მემატიანეს:

მას ჟამსა იყო დავით ჰასაკითა თექვსმეტისა წლისაო, ხოლო ქორონიკონი იყო სამას და ცხრაო (ანუ 1089 წელიო). და მას თვით მამამან დაადგა გვირგვინი მეფობისაო. დაუფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, თვით ზეციურმა მამამან ჰპოვა დავით და აკურთხა იგიო. ამას მოსდევს ციტატები ფსალმუნებიდან და ირიბი თუ ცხადი მინიშნებანი, რომ ვითარცა ბიბლიური დავით მეფე გამოირჩია უფალმა, სწორედ ასევე დასდო ხელი ამ ჩვენს დავითსაცაო. ანუ ღვთის ნება იყო და გიორგი მხოლოდ ამ ნების აღმსრულებელი იყო – დაახლოებით ასე.

სულ ეს არის. არადა, რამდენი რამ იცის ამ ოჯახდალოცვილმა ანონიმმა და რა სიტყვაძუნნია! რამდენი დეტალი გვაინტერესებს, რომლებზეც კრინტს არ ძრავს: მაინც, რას მიჰყავს გიორგი II ამ გადაწყვეტილებამდე? რამაიძულა, ვინაიძულა? სად წავიდა მეფეყოფილი? სად ცხოვრობს ამის შემდეგ და რას საქმიანობს? ეხმარება შვილს სახელმწიფოს მართვაში თუ გარიდებულია მეფისკარს? რა დამოკიდებულება აქვს ამის შემდეგ მამა-შვილს? როდემდე ცოცხლობს გიორგი და სად იკრძალება ბოლოს?

რჩება შთაბეჭდილება, რომ დავითის მემატიანე წმინდა წერილის ციტატების

მოშველიებით ოსტატურად უვლის გვერდს ამ და სხვა კითხვებს. ეჭვებს ისიც ემატება, რომ „დავითის ცხოვრების“ ავტორი დავითის გამეფების შემდეგ დავითის მამას ერთხელაც კი არ ახსენებს! მეფეზე სამეფო ისტორიას წერს და გვირგვინის დამლოცველი მამის გარდაცვალებაც კი აღარ აინტერესებს. და ეს მაშინ, როცა გიორგი ჭყონდიდლის, მეფის მარჯვენა ხელის, მიცვალებას მთელ პასაჟს უთმობს. და იქვე დასძენს – ძაძით შეიმოსა მეფე დავითი და იგლოვა ვითა მამა, და უმეტეს მამისაო. ქვეტექსტებში მოკირკიტებს არ გამოეპარებათ, რომ ეს „უმეტეს მამისა“ მხოლოდ აღმზრდელ-თანამებრძოლის შესამკობად როდი წერია აქ.




დავით აღმაშენებლის სპილენძის მონეტა, ბრიტანეთის მუზეუმი

არადა, გიორგი II, რუის-ურბნისის ცნობილი საეკლესიო კრების ძეგლისწერის (დადგენილების) ბოლოში დართულ მოსახსენებლებში, არათუ ცოცხლებს შორის, არამედ ამ ცოცხლების თავში, თვით დავით აღმაშენებლის წინ წერია! კრებას დავითი გამეფებიდან 15 წელიწადში ატარებს და წარმოიდგინეთ, ამ ხნის განმავლობაში მამამისი ცოცხალია და დავითის მემატიანე არსად, გაკვრითაც კი არ ეხება ამ ამბავს. მეტიც, სხვა წყაროთი თითქოს დასტურდება, რომ გიორგი მეფეყოფილი ტახტის დათმობიდან 23-ე წელს მიიცვალა!

მაშ, რატომ არ ანაღვლებს გიორგის არსებობა დავითის მემატიანეს? არ ჩანს შემთხვევითი ეს დუმილი და მაშ, რას გვიმალავს სამეფო კარის ამბებიდამ?

იმას ხომ არა, რომ გიორგი აიძულეს; რომ მეფეს არსადაც არ სურდა წასვლა და რომ ის უბრალოდ გადააყენეს, ან აიძულეს გადამდგარიყო; რომ მოხდა შეთქმულება და შემდეგ სახელმწიფო გადატრიალება.



შვილს საკუთარი ხელით დაადგა გვირგვინიო – აი, ეს კი შესაძლოა სიმართლეს ჰგავდეს, თუმცა ლამაზად შეფუთულს. „საკუთარი ხელით“ არ ნიშნავს, რომ საკუთარი ნებითა და გადაწყვეტილებით. თუკი გიორგი II ძალაუფლებიდან იძულებით ჩამოაშორეს, საქმეს ალბათ ბოლომდე მიიყვანდნენ და გვირგვინის გადაცემის რიტუალის ოფიციალურად აღსრულებასაც მოსთხოვდნენ. არჩევანს არ მისცემდნენ, რადგან ჭაბუკ მეფეს ლეგიტიმაცია დასჭირდებოდა და შეთქმულნი არ დატოვებდნენ სათქმელ-საფიქრალად – ეგ მეფე კი არა, ტახტის მძლავრებით მიმხვეჭელიაო.



გელათის მონასტერი

თვისითა ნებითა ტახტის დათმობის ამბავს დღეს უკვე მეტი და მეტი მეისტორიე უყურებს იჭვით და სახელმწიფო გადატრიალების ვერსიაც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს, მაგრამ ამ თეორიის თანახმად, შეთქმულნი კარგები არიან, პროგრესულნი და ქვეყნის ავადობით შეწუხებულნი. დავითში ხედვენ გზას ხსნისას და ამიტომ იღებენ ხელთ ინიციატივას. შემდგომშიც გვერდში უდგანან და მერე რაც ხდება, კი მოგეხსენებათ. ერთი მოსაზრებით, ამ დასს სათავეში მნიგნობართუხუცესი გიორგი უდგას, მერმე დავითისგან ჭყონდიდლადაც დადგინებული და დავითის პირველი ვაზირი და ყოველთა დიდთა საქმეთა თანამდგომი და წინამდგომი.

საფიქრალია დავითის როლი და წონა 1089 წლის რყევებში. იმ ჟამის 16 წლისა აწინდელი 16-ისგან კი განსხვავდება ზრდასრულობის აღქმებით, მით უფრო, როცა საქმე სამეფოდ გაზრდილ სეფეკაცს ეხება, მაგრამ მაინც პატარა ჩანს დავითი იმისთვის, თავად ეწინამძღვრა ბუნტისთვის. წინა პლანზე უფრო

დიდნი უნდა ვიგულისხმოთ – გამოცდილებითა და ჰასაკითა. მაგრამ ამასაც იფიქრებენ დავითის მყვარებელთაგანნი – რატომაა გამორიცხული, თვით დავითს ედავითა ჯერ კიდევ ჭაბუკობისას და თავად ჩასდგომოდა სათავეში ახალ მოძრაობასო. დავითის შესაძლებლობების ადამიანისგან აბა რა გაგიკვირდესო!

ბოლოს, ამასაც ჩავეძიოთ აუცილებლად და მოვიკითხოთ ერთი, ვინ იყვნენ იმ დავითის დასში და მართლა დავითისა იყო თუ არა დასი... რა დიდი სჯა უნდა, ფეოდალები იქნებოდნენ და ჟანრის კანონიც თითქოს გვიჩურჩულებს, ძლიერნი ამა ქვეყნისანი საკუთარი გავლენების გაზრდისთვის უფრო ირჯებოდნენ და დავითიც მარიონეტად სურდათო. ზოგჯერ ასეთი გათვლა ხომ არ ამართლებს. ჰოდა, მოძლიერდა ეს ჩვენი დავითიც და იმავე კანონისა თანახმად, პირველი სწორედ მათ მიუბრუნდა, ვინაც იგი მეფედ მოიყვანა. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, დავითის გამეფების ინიციატორთა ბანაკში იმ ოპოზიციონერებსაც დავინახავთ, რომლებსაც დავითი მეფობის პირველ პერიოდში დაუნანებლად დაერია.

ღმერთო ჩემო, ნუთუ ლიპარიტ ბაღვაში და მსგავსნი მისნი უნდა ვიგულისხმოთ დავითის პირვანდელ დასში? მათ მომატებულ მადას და არასწორ გათვლებს უნდა ვუმადლოდეთ დავითის ასე ადრეულ გვირგვინოსნობას?

კითხვებს რა დალევს. ამ კითხვებს განა სხვა არ დაემატება და განა რომელიმე გადაწყდება იმპერატიულად, მაგრამ ისტორია ხომ შედეგით სჯის, შედეგებით სწონის და ასე რომ, ნებით დაადგა მამამ თუ ნების გარეშე, თვით გაიწია გვირგვინისკენ თუ გარემოცვამ იყოჩაღა, ჭაბუკ უფლისწულზე აგეთ იმედს ამყარებდნენ თუ იგეთს, ეს ყოველივე სრულად დაჩრდილა ერთმა უმთავრესმა:

გაამართლა იმ 16 წლის ბიჭმა, იმარჯვა და მერე როგორ. ისე, როგორც არავინ ელოდა 309-ე ქორონიკონს – არც მოწინააღმდეგეთაგან და არც მომხრეთაგან, არც სკეპტიკოსთაგან და არც ოპტიმისტთაგან, არც ახლომხედველთაგან და არც შორსმჭვრეტელთაგან.

ვერც ის შეთქმულნი გაიაზრებდნენ ბოლომდე, რა კაცი მოიყვანეს ქვეყნის თავკაცად. ვერც ჭაბუკი მიხვდებოდა, რა დიდგორები ელოდა წინ.



თამუნა შენგელია

„გდაპრის ბოლო კათილია“

დისტოპიური წინასახატი

ათასგვარ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ვისმენთ საკუთარი სიბრძნით გადაღლილი პროსახელისუფლებო თუ ოპოზიციური სპიკერებისაგან. ერთი რესპექტაბელური ანალიტიკოსისგან ისიც კი გავიგეთ, რომ ქართველთა ბრძოლა ნათელი მომავლისთვის სიმინდისთვის ფუჩეჩის მოშორების ფაზაში ყოფილა, რაც წინ უძღვის ოლიგარქის სიმინდით გადატეხასა და ქვაბში ჩაყრას (არ ვხუმრობ!). სანამ გაფრცქვნის ფაზას გაივლის ოპოზიცია, მოდი, გადავხედოთ, რა მშრალი ფაქტების წინაშე ვდგავართ და რა ხელშესახები შედეგები დადო ივანიშვილმა 2024 წლის მიწურულს.

ოპოზიცია პრაქტიკულად გვანეიტრალებულია, პარლამენტი - ერთპარტიული და სრულიად მორჩილი, ყველა სახელმწიფო ინსტიტუცია - ჭიბეში, კონსტიტუცია - უგულებელყოფილი, ევროინტეგრაციისა და, მით უმეტეს, ნატოში გაწევრიანების თემა - დახურული. როგორც პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები თუ იურისტები ერთხმად აღნიშნავენ, სახელმწიფო და საკონსტიტუციო გადატრიალება უკვე შემდგარი ფაქტია.

ერთადერთი ლეგიტიმური და საერთაშორისოდ აღიარებული ხელისუფალი, პრეზიდენტი ზურაბიშვილი, ისე გავიდა საპრეზიდენტო სასახლიდან, რომ უმძიმეს კრიზისს არ მიაჩნია საკონსტიტუციო გადატრიალების კვალიფიკაცია, არ შეინყალა რეჟიმის პოლიტპატიმრები, არ სცადა ახალი არჩევნების დანიშვნა, არ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, არ მოუხმო ჯარს, რათა კონსტიტუციური წყობილება აღედგინა და არაფორმალური შეიარაღებული მოძალადეებისაგან დაეცვა უდანაშაულო

მოქალაქეები. ზურაბიშვილმა ვერ გააერთიანა ერთმანეთზე დაბოღმილი, ამბიციური და ამპარტავანი ოპოზიციური ლიდერები, რომელნიც ვერაფრით შეთანხმდნენ, თუ როგორ გადაინაწილონ არარსებული გავლენები.

სამაგიეროდ, გაზაფხულის პროტესტები, განსაკუთრებით კი, „არჩევნების“ შემდგომი განრისხებული ამბოხი, არაერთხელ შეაკავა და კრიტიკული პერიოდი გადააგორებინა დაჭკუფება „ქართუს“.

სალომე ზურაბიშვილის წარმატებულ შედეგად შეგვიძლია ასევე მივიჩნიოთ ისიც, რომ თავადაც უამრავი კანონდარღვევით მოსული (გავიხსენოთ, არჩევნები, რომლის შედეგადაც ის პრეზიდენტი გახდა, საერთაშორისო დამკვირვებლებმა შეაფასეს, როგორც „თავისუფალი, მაგრამ უსამართლო“, შესაბამისად, მის ინაუგურაციაზე პრაქტიკულად არ ყოფილან მაღალი რანგის საერთაშორისო სტუმრები), არაერთი მავნებლური განცხადებისა და ქმედების მიუხედავად (მარტო გარეჯის სპეცოპერაციაში მისი როლი რად ღირს!), იმაზე დიდი მხარდაჭერით წავიდა, ვიდრე მოსვლისას ჰქონდა (როგორც წესი, პირიქითაა ხოლმე).



ვადის მიწურულს მან საკუთარი რეპუტაციის რეაბილიტაცია მოახერხა, ის ერთადერთ ლეგიტიმურ ლიდერად აღიარეს როგორც ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა, ისე კრიტიკულად განწყობილმა საზოგადოებამ. ყველამ ერთად კი, შესაძლოა, „ჭამა“ ივანიშვილის მორიგი ტრიუკი. ფაქტია, ხალხი თავად გაეცალა იმ ტერიტორიას, სადაც ყაველაშვილის ინაუგურაცია უღრუბლოდ უნდა ჩატარებულიყო და ფოკუსი გაასწორა ზურაბიშვილის პომპეზურ გაცილებებზე.

ახლა ზურაბიშვილს წინ უდევს მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო, დასვენებასა და შთაბეჭდილებებს შორის, ინაუგურაციებსა და რაუტებზე დასწრება, შეხვედრები, ფოტოები, ტვიტები, პატივით ტკობა, ტკობა პრივილეგიებითა და საპატიო სტატუსით პასუხისმგებლობის გარეშე - მშვენიერი საპენსიო ცხოვრებაა.



ჩვენს გულებში რომ სალომე რჩება პრეზიდენტად, გამსახურდიას იმ მომხრეებს მაგონებს (ბოდიში უხეში შედარებისთვის), დაღუპული და დაკრძალული პრეზიდენტის დაბრუნებას რომ ელოდნენ მრავალი წელი.

მართალია, ხალხს დიდი ვერაფერი შედეგი მოუტანა, მაგრამ ხალხი ახლა მაინც ამ პრეზიდენტს მისტირის იმიტომ, რომ მისი შემცვლელი უვიცი მდაბიოა, სწორედ ისეთი, როგორადაც ტიპური ქართველი დაგვიხასიათა ივანიშვილმა მისი მმართველობის გარიჟრაჟზე.

როგორადაც მაშინ აღწერა ქართველი, ზუსტად იმის შესატყვისი „ელიტა“ შექმნა ივანიშვილმა. როგორადაც აღწერა საქართველო, ზუსტად

ისეთი ქვეყანა (სახელმწიფოს განგებ არ ვწერ) ჩამოაყალიბა.

კიდევ რა შედეგები გვაქვს?

ლარი ორჯერ გაუფასურებული, ცხოვრება კი - ორჯერ გაძვირებული. ჯერ არნახული მასშტაბის კორუფცია. ასეთივე არნახული მასშტაბის სიყალბე, ტყუილები და უტიფრობა. წაგებული ნაკრების გამარჯვების ზეიმი. გელათი გაპარტახებული. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გაზრდილი ნუსხა ქართული სუფრისა და მცხეთის „პერაშკების“ ხარჯზე.

„გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, თუმცა არც იმდენი. წვრილმან ხარვეზებს ოლიგარქი გაუმკლავდება.

სანქციები, რასაკვირველია, მძიმეა, მაგრამ მათი დაწესება მოულოდნელობა არ ყოფილა. თადარიგიც კარგა ხნის წინ დაიჭირა. ივანიშვილისა და მისი ოჯახის ფუფუნებას სანქციების პირობებშიც არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

იზოლაცია? - ივანიშვილი არც მანამდე იკლავდა თავს მოგზაურობით. იზოლაცია მისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა. დანარჩენებისთვის კი შოპინგი - დუბაიში, დასვენება - მალდივებზე, ან - სეიშელის კუნძულებზე.

რეპუტაცია? - არასოდეს ყოფილა მისი საზრუნავი. ქვეყნის შიგნით აღიარება, მით უმეტეს, არ აინტერესებს. გულის მოსაფხანად ჟურნალისტი „რუსო!“-ს რომ მიაძახებს კობახიძეს, ჟურნალისტურ ლექსიკაში დამკვიდრებული აუცილებელი პრეფიქსი „არალეგიტიმური“, „ეგრეთ წოდებული“, „თვითმარქვია“, ან ათასგვარი ენამოსწრებული ფეისბუქსტატუსი ხომ სასაცილოდაც არ უღირს. რუსული ვერ ისწავლა, მაგრამ პრინციპი „Собака лает – караван идет“ (ძლიი ყუფს, ქარავანი მიდის) კარგად აქვს ათვისებული, რაც არაერთხელ დაგვანახა. ვინ რა დაინახა, ეგ სხვა საქმეა.

რაც შეეხება იმ რეალობის აღქმას და აღიარებას, რომელიც დიდწილად თავად შექმნა საზოგადოებამ: არ გამოვტოვოთ

კიდევ ერთი დაუვიწყარი დღე - რუსთაველზე ახალი წლის შეხვედრა, საშობაო ალილო, ექსტაზში ერთობის განცდა, სიმღერა, ცეკვა, კრეატიულობისა და ნიჭიერების გამოვლენის კიდევერთი ასპარეზი. კიდევერთხელ დავინახეთ, რა კარგები და ნიჭიერები ვართ ქართველები. მერე, ტრადიციულად, დავიშალეთ და, ვიდაცის სიძულვილით თუ შურით გაერთიანებულნი, ისევ ჩვენ ჩვენს ბაბლებში გადავწავნილდით.

ამასობაში კი დეფაქტო პრეზიდენტი ახალ-ახალ კანონებს აცხობს. ვინც ჯუტად არ აღიარებს თვითმარქვია პრეზიდენტს და არ დაემორჩილება მის ბრძანებებს, „ხარება“ მიხედავს, სანქციები მას ხელს არ შეუშლის. აქტივისტები და ზედმეტად აქტიურები, რომლებსაც თვითგადარჩენის ინსტინქტი არ შეაკავებთ, ციხეში ან ემიგრაციაში წავლენ, გულში სალომე ზურაბიშვილის ხატებით. თუ საჭირო გახდა, რომელიმე მათგანი საეჭვო ვითარებაში დაასრულებს სიცოცხლეს. დარჩენილი პოლიტიკოსები კი თვითონ დაჭამენ ერთმანეთს.

მალე სრული სიმშვიდე და ჰარმონია დაისადგურებს. ნოშიკო ამოისუნთქავს. მაყუთი იმდენი გაკეთდება, დღემდე რომ არ გვინახავს. ბიტკოინების ქარხანა გუგუნებს...

ყველაფერი, რაც ივანიშვილმა თავად დაისახა მიზნად და რასაც დაჰპირდა თავის ამომრჩეველს 2012, 2016, 2018 და შემდგომ წლებში, ერთბაშად და ზედმიწევნით - ვერ, მაგრამ შეუსრულა. მართალია, ამ ამომრჩეველმა გზადაგზა შეცვალა საკუთარი მოთხოვნები თუ დაკვეთა (გააჩნია, ცალ ფეხზე დგას თუ ორზე), მაგრამ ეგრე სადაა?! მთავარი და ყველაზე პრინციპული მოთხოვნა - „ოღონდ ნაცები მოგვაშორე“, 100%-ით შეუსრულა.

ქართველები და საქართველო? - ზღაპრის ბოლო კეთილია! ქართველები დარჩნენ ზღაპრის, ილუზიის, ზმანების, იმედის, ოცნების ანაბარა; გარედან დაწესებული სანქციების, უკრაინელების მოგებულის ომის ან ღვთისმშობლის იმედად.... თუ არც ერთმა არ გაჭრა, ბოლო-ბოლო რეჟიმი როდესაც რამენაირად თავისით ჩამოიშლება, ამაში დარწმუნებული ვარ! მანამდე კი... ფაქტები ასეთია და ვინც ამას არ აღიარებს, იმ ძველ ანეკდოტს შევახსენებ - „ვისაც გვჯერა გაგვატარეთ!“.



ირაკლი ლაითაძე

თანაგედროვეობის ილუზია

ნაწიდი 1: წარმატებული ადამიანი


The value we place on external thing, subjugates us to it.
Epictetus

როდესაც მესმის - წარმატებული ადამიანი - მიჩნდება მსუბუქი გაუგებრობის გრძნობა. და, რადგან ხშირად მხვდება ასეთი დახასიათება, გადავწყვიტე გამეაზრებინა, რა დგას ამ ემოციის უკან.

იქ, სადაც ითქმება - წარმატებული ადამიანი - იქვე იგულისხმება, რომ არიან სხვებიც, წარუმატებლები. ჩემთვის მიუღებელია სოციალური დარჯინ იზმი. შესაბამისად, არ ვფიქრობ, რომ მართებულია ადამიანების ასეთი დაყოფა. ძალიან ხშირად ეს იარლიყი მძიმეა „წარუმატებლებისთვის“ და ტოქსიკურად მათობელი - „წარმატებულებისათვის“.

რა არის წარმატება? Merriam Webster-ის ლექსიკონის თანახმად, წარმატება შესაბამისი ან სასურველი მიზანის მიღწევაა, აგრეთვე, სიმდიდრის, სტატუსის და/ან საჯარო სახელის მოხვეჭა. სწორედ ამ ორი განმარტებით იწყება განსხვავება. მოდით, ვიმსჯელოთ: ვთქვათ, ადამიანი ფილატელისტია და იყიდა/აჩუქეს იშვიათი საფოსტო მარკა, რომელიც მან სიხარულით შემატა თავის კოლექციას. ეს საფოსტო მარკა მისთვის და მხოლოდ რამდენიმე ფილატელისტისთვის წარმოადგენს ღირებულებას. წარმატების პირველი განმარტების მიხედვით, ჩვენი ფილატელისტი წარმატებულია, რადგან მან მოიპოვა სანუკვარი საფოსტო მარკა. მეორე განმარტების მიხედვით, ის წარუმატებელია, რადგან მან ვერ იშოვა ფული ან ვერ გაითქვა სახელი. რას ფიქრობთ, უკანასკნელი დასკვნა მცდარია თუ არა? ჩემი აზრით,

მცდარია, დეფექტურია. მიუხედავად ამისა, ჩვენ წარმატებულის განსაზღვრისას ვხელმძღვანელობთ სწორედ ფულის, სტატუსის და/ან საჯარო სახელის კრიტერიუმ(ებ)ით. მასმედია და სოციალური ქსელები ხშირად პირდაპირ გვჩრიან „წარმატებულ“ ადამიანებს და მათ მელოდრამებს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყეს ბიზნესის აწყობა ნასესხები 1 000 დოლარით ან თუ როგორ დაეცნენ და ფენიქსივით ფერფლიდან აღდგნენ. ამავე დროს, იგივე მასმედია და სოციალური ქსელები, თითქმის ყოველთვის საზოგადოებაში არსებული, გაბატონებული შეხედულებების თუ აზრების ამრეკლავია. არსებობს ბევრი ცოცხალი თუ online კურსი, სადაც თურმე შეგიძლია ისწავლო, როგორ გახდე წარმატებული. მსგავსი კურსების არსებობა და მათზე მოთხოვნილება კიდევ ერთხელ ადასტურებს წარმატებულობის პრიმატს საზოგადოებაში. ადამიანი სოციალური არსებაა, ის არ ცხოვრობს უკაცრიელ კუნძულზე რობინზონ კრუზოსავით. შესაბამისად, ძნელია შევინაღმდეგო წარმატების გამეფებულ კულტს და დიდი უმრავლესობა ვინცებთ გაუთავებელ, ქანცგამომცლელ მარათონს „წინსვლისთვის“ და სიმდიდრისთვის. ამ რბოლაში ჩაბმით, სიცოცხლის ბოლომდე ციყვივით ბორბალში სირბილი პრაქტიკულად გარანტირებული გვაქვს. გარდა ამისა, იწყება საკუთარი თავის შედარება სხვებთან. რადგან სოციალურ ქსელებში თუ ტელევიზიით ჩვენ აფიშირებას ვუკეთებთ ჩვენი პროფესიული, პირადი თუ გასართობი



ცხოვრების მხოლოდ საუკეთესო ნაწილს - ისიც ხშირად შეფერადებულ-შელამაზებულს - შემდარებლის დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არასდროს მთავრდება, რადგან ყოველთვის იქნება ვიღაც უფრო მაგარი, ვიღაც უფრო ძლიერი, ვიღაც უფრო ლამაზი და ვიღაც უფრო მდიდარი. ცალკე ამბავია, როდესაც ადამიანები სოციალურ ქსელებით თუ მასმედიით მუდმივად ცდილობენ გამოჩენას (ცხადია, არ ვგულისხმობ მათ, ვისი პროფესია მასმედიაში მუშაობაა, იქნება ეს ჟურნალისტი თუ გადაცემის წამყვანი და ა.შ.) და სისტემატურად ყურადღების ცენტრში ყოფნას. ზოგიერთი დაუფარავად თავისი თავის დემონსტრირებას და პრომოუშენს ახდენს, ზოგიერთი კი უფრო ეშმაკურად, რამე კეთილშობილ კონტექსტს ამოფარებული, შეფარვით აკეთებს იმავეს. სხვებისგან მუდმივი შექების და თავისი საქმიანობის შესახებ გარედან მიღებული დადებითი დადასტურების დაუოკებელი და მუდმივი წყურვილი არასრულფასოვნების კომპლექსის ნაირსახეობაა. თუ მე გულწრფელად ბედნიერი ვარ საფოსტო მარკების შეგროვებით, მაშინ ასეთი ემოციური სისავსის ფონზე საკმაოდ უმნიშვნელო ხდება „წარმატების“ სიმბოლოების ქონა (მაგ., ძვირფასი მანქანა ან მაჯის საათი) ან „წარმატებულ“ ადამიანებთან ურთიერთობა (ხშირად, ცალმხრივი ურთიერთობა). ასეთ დროს, იმასაც არ აქვს დიდი მნიშვნელობა, ჩვენს ფილატელისტს მართო მეზობლები იცნობენ თუ კორესპონდენტები ესევიან. მუდმივ სწრაფვას ე.წ. „წარმატებისკენ“, სხვებთან განუწყვეტლივ თავის შედარებას მიაქვს დიდი ენერჯია, აჩენს ისეთ გამომფიტავ ემოციებს, როგორებიცაა

შური, ბრაზი, დარდი. ეს ემოციები ქრონიკულ ხასიათს იღებს, რაც პირდაპირ აისახება ჩვენს ფსიქიკურ კეთილდღეობაზე. თუმცა სირბილი იმათთვისაც არ სრულდება, ვინც „წარმატებას“ მიაღწიეს. მათ გაუთავებლად უნდათ უფრო მეტი და მეტი, იქნება ეს ფული თუ სტატუსი. გარდა ამისა, საზოგადოებას შეუძლია ამ „წარმატებულობის“ უშნო პედალირება: თუ წარმატებული ბიზნესმენი და მილიონერი, მაშინ რატომ არ არის მულტიმილიონერი ან მილიარდერი? თუ ასეთი კარგი მწერალია, მაშინ რატომ არ აქვს პრემია საბა? ან თუ საბა აქვს, მაშინ რატომ არ აქვს აქვს ბუკერის პრიზი? ჭკვიანი ფიზიკოსია? მაშინ რატომ არ აქვს ვულფის პრიზი და ა.შ. ჩამონათვალი გრძელი გამოგვივა და აზრსმოკლებული. აზრსმოკლებული, რადგან ნობელის პრემია ლიტერატურაში არ მიუღიათ ფრანც კაფკას, ჯეიმს ჯოისს, ფედერიკო გარსია ლორკას, ლევ ტოლსტოის, ხორხე ლუის ბორხესს, მარსელ პრუსტს, ჯორჯ ორუელს თუ რიუნოსკე აკუტაგავას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ან მათ და ან მათ წიგნებს რამე დააკლდათ ნობელის პრიზის მიუღებლობით? არა, არაფერი დაჰკლებიათ.

წარმატებულის იარღიყის პირდაპირი თუ ირიბი დაკვრა ფსიქოლოგიურად გადატეხს ჩვენს ისედაც დამძიმებულ, „წარმატებულ“ მეგობრებს, ნაცნობებს თუ უცნობებს. ამის პარალელურად კი, საკუთარ თავზე და საკუთარ ზომზე მორგებული წარმატება გროტესკულია. ფუნდამენტურ დონეზე ჩვენ, ყველანი, თანასწორნი ვართ.

რაც მოგახსენეთ, მხოლოდ ჩემი აზრია. Als ich kan, როგორც იტყოდა პიტერ ბრეიგელ უფროსი.



დავით ბუხრიკიძე

უიუი ველარ ნოქავს სულს

**„ჩვენ ვართ მსახიობთა
გუნდი, რომელსაც
სურს მოახდინოს
არაძალადობრივი და
ულამაზესი ანარქისტული
რევოლუცია!...
მაყურებელი ამბობს:
დიახ, სამყარო საშინელ
მდგომარეობაშია!
ირგვლივ მუდმივი
ომებია, ქოლიციკური,
სოციალური
კონფლიქტები თუ
კაცაცროფები. მაგრამ
ვინ ვარ მე და სად ვართ
ჩვენ; ან რა შეგვიძლია
გაკვაკეთოთ, რომ სამყარო
შევცვალოთ?“**

თეატრი, სინამდვილეში, ყველა დროში პოლიტიკური, სოციალური და თანამედროვე ხელოვნება იყო: ბერძნული თეატრიდან დაწყებული, მოლიერის მოხეტიალე დასით გაგრძელებული და შექსპირის „გლობუსითა“ თუ ფრანგული კლასიკური დრამებით გამყარებული. კიდევ უფრო მწვავე, პოლიტიკური და აქტუალური გახდა მეოცე საუკუნის თეატრი, როდესაც ბერტოლდ ბრეხტის, ანტონინ არტოსა თუ სამუელ ბეკეტის ტექსტებმა რადიკალურად შეცვალეს თეატრის ენა, მნიშვნელობა, სათქმელი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰუმანიტარულმა კრიზისმა კიდევ უფრო აქტუალური გახადა გაბედული და ექსპერიმენტული ფორმის თეატრის არსებობა. ეს მოთხოვნა ემყარებოდა კლასიკური ტექსტუალური ჩარჩოს დაძლევის და ადამიანებთან დაახლოებას, მძაფრ და კონკრეტულ ამბებზე საუბარსა და თანაგრძნობას. ერთგვარად პარადოქსია, მაგრამ ასეთი თეატრი ევროპის მიერ გადატანილი ომებისა და ტრავმების შემდეგ ამერიკაში დაიბადა.

„ჩვენ ვართ მსახიობთა გუნდი, რომელსაც სურს მოახდინოს არაძალადობრივი და ულამაზესი ანარქისტული რევოლუცია!... მაყურებელი ამბობს: დიახ, სამყარო საშინელ მდგომარეობაშია! ირგვლივ მუდმივი ომებია, პოლიტიკური, სოციალური კონფლიქტები თუ კატასტროფები. მაგრამ ვინ ვარ მე და სად ვართ ჩვენ; ან რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ სამყარო შევცვალოთ? ზუსტად იმიტომ, რომ ხალხს ამის გაგება და ძალა მივცეთ, ჩვენ ვაარსებთ „ცოცხალ თეატრს“...“

ეს არის ფრაგმენტი გერმანიაში, პოლონელი ებრაელების ოჯახში, დაბადებული მსახიობის, მწერლისა და რეჟისორის, სახელოვანი ერვინ პისკატორის სტუდენტის, ჯუდიტ მალინას მანიფესტიდან. მან მეუღლესთან, ამერიკელ მხატვარსა და პერფორმერთან, ჯულიან ბეკთან ერთად 50-იან წლებში ნიუ-იორკში რადიკალური პოლიტიკური თეატრალური დასი - The Living Theatre („ცოცხალი თეატრი“) დააარსა.

ეს სრულიად ახალი მიმართულების თეატრი იყო, რომელმაც ტრადიციული შენობებიდან სხვადასხვა სივრცეში გადაინაცვლა - ავტობუსის მოსაცდელეებში, მიტოვებულ შენობებში, სკვერებსა თუ მოედნებზე. ჯულიან ბეკი და ჯუდიტ მალინა პოლიტიკური

და სოციალური რელობის შესატყვის ტექსტებს თხზავდნენ და ამგვარი ფორმით საზოგადოებრივი თუ სოციალური იმპულსების გამოცოცხლებას ცდილობდნენ. მართლაც, 50-იანი წლების დასაწყისში „ცოცხალი თეატრი“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ექსპერიმენტული თეატრი გახდა და, თანაც, არამარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ცოცხალი თეატრი“ თავისი არსითა და კონცეფციით მიმართული იყო საზოგადოებაში ძალაუფლების გარდაქმნისაკენ. იერარქიული სიტემის ნგრევა და ჰორიზონტალური ურთიერთობების დამყარება აუდიტორიასთან მისივე პრობლემების პროვოცირებით „ლივინგ თეატრის“ ერთ-ერთ მთავარ იდეას წარმოადგენდა. ცხადია, ბეკისა და მალინას დასი ეწინააღმდეგებოდა ბროდვეის სპექტაკლების კომერციულ ხასიათს. ადგილის გათვალისწინებით დგამდა სოციალური, ექსპრესიონისტული თუ პოლიტიკური შინაარსის პერფორმანსს და მუდმივად მონაწილეობდა ნიუ-იორკში გამართულ დემონსტრაციებსა თუ საპროტესტო აქციებში.

„ლივინგ თეატრის“ მსგავსი გამოცდილება ქართულ თეატრს ნაკლებად ჰქონდა, რადგან, ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა სისტემაში ჩაბეტონებული, მაინც ნომენკლატურულ ჩარჩოებში ქადაგებდა შექსპირის, მოლიერისა თუ კლდიაშვილის ტექსტებს. ამდენად, როდესაც მიუზიკლი „მე გადავცურაც ზღვას“ (რეჟისორმა დავით დოიაშვილმა ის ჯერ კიდევ 2023 წელს დადგა „ახალ თეატრში“) იანვრის საპროტესტო დღეებში რეალურად გათამაშდა ქუჩაში, თეატრის წინ, მაყურებელი, ფაქტობრივად, საპროტესტო მანიფესტისა და სპექტაკლის მოდენიზებული ვერსიის მონმე გახდა.

ეს იყო ცხადი პოლიტიკური მესიჯებით, შთამბეჭდავი მოქალაქეობრივი პოზიციითა და სოციალური თეატრით შთაგონებული წარმოდგენა. ირაკლი ჩარკვიანის მუსიკა და ტექსტი, რომლებსაც ეყრდნობა ბასა ჯანიკაშვილის დრამატურგია და დავით დოიაშვილის რეჟისორული აქცენტები, სრულიად ახალ, ცოცხალ და პოლიტიკურ ჟღერადობას იძენს. შეიძლება ითქვას, რომ ქუჩაში გამოსული „ახალი თეატრი“ თავისი გაბედულებითა და კონკრეტული მესიჯებით სწორედ ძალიან წააგავდა ჯულიან ბეკისა და ჯუდიტ მალინას „ცოცხალი თეატრის“ (The Living Theatre) სოციალურ და პოლიტიკურ განაცხადს.

ქვეყანაში შექმნილმა სოციალურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა, კონკრეტულად კი, თეატრის დასის წევრებისა და ანდრო ჭიჭინაძის დაპატიმრებამ აიძულა მსახიობები, შენობიდან გარეთ გამოსულიყვნენ და საპროტესტო ფორმისთვის მიემართათ.

**ქვეყანაში შექმნილმა
სოციალურმა და
პოლიტიკურმა
მოვლენებმა,
კონკრეტულად კი,
თეატრის დასის
წევრებისა და ანდრო
ჭიჭინაძის დაპატიმრებამ
აიძულა მსახიობებში,
შენობიდან გარეთ
გამოსულიყვნენ
და საპროტესტო
ფორმისთვის მიემართათ.**



**ქროპაგანდისტული
მედიუმი და სროლოში
ავრცელებდნენ ყალბ
ინფორმაციას, თითქმის
„ახალი თეატრი“ ფონდმა
„ქართუმ“ შეაკეთა.
სინამდვილეში, ის
კულტურის სამინისტროს
ზიუკესიდან
გამოყოფილი
თანხით, ანუ ჩვენი
გადასახადებიდან
დაფინანსდა.**

პროპაგანდისტული მედიები და ტროლები ავრცელებდნენ ყალბ ინფორმაციას, თითქმის „ახალი თეატრი“ ფონდმა „ქართუმ“ შეაკეთა. სინამდვილეში, ის კულტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით, ანუ ჩვენი გადასახადებიდან დაფინანსდა. ამდენად, ივანიშვილის ქველმოქმედებაზე აქ ლაპარაკი ზედმეტია, ხოლო რა თანხაც სხვადასხვა თეატრის რეაბილიტაციასა და შეკეთებისთვის ფონდმა „ქართუმ“ გაიღო, დიდი ხანია წარმატებით სხვადასხვა გზით აინაზღაურა.

„ახალი თეატრის“ რეაბილიტაციის პროექტი ჯერ კიდევ ყოფილი მინისტრის, მიხეილ გიორგაძის, დროს დამტკიცდა. გარემონტებული თეატრის გახსნის პატივი უკვე თეა წულუკიანს ერგო, რომელიც შემდეგ ამ თეატრში აღარც მისულა. უხილავი დაძაბულობა სამინისტროსა და „ახალ თეატრს“ შორის წულუკიანის ხანაში ყოველთვის იგრძნობოდა, ხოლო „რუსული კანონის“ მიღებისა და აქციების შემდეგ ხილული და თვალსაჩინო გახდა...

„ჩვენ ვინცებთ ახალი თეატრის მანიფესტს! ეს ჩვენი ბრძოლა იყო, მაგრამ მეგობრები, სხვა თეატრები და მსახიობები აუცილებლად შემოგვიერთდებიან. აქვე ვაანონსებ - ახალი თეატრი გადის რეგიონებში! ყველგან მივალთ და ყველას დაველაპარაკებთ, ერთდროულად გავიშლებით სხვადასხვა რეგიონში და სდიეთ ქართულ თეატრს!“ - თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, დავით დოიაშვილის, ეს ხმამაღალი და ემოციური განაცხადი სახელისუფლებო ტროლფაბრიკის „მუშებისთვის“ სიგნალის ჩართვას უფრო ჰგავდა. ისინი ისეთი ორგანიზებული ლანძღვა-გინებით შეესივნენ თეატრის მსახიობებსა და რეჟისორს, გეგონება თვეების წინ თავად არ იხვეწებოდნენ, ეგებ, ორიოდ ბილეთი გვიშოვოთო.

„საპროტესტო მანიფესტის“ ფარგლებში წარმოდგენები გაიმართა ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ოზურგეთში... ღია ცის ქვეშ გამართულ იმპროვიზებულ მიუზიკლს უამრავი ხალხი ესწრებოდა, თუმცა სახელისუფლებო მობილიზაციაც სათანადო იყო. ყველაზე ამაღელვებელი, მაინც, მზია ამალაობლის ციხიდან გამოგზავნილი წერილი იყო, რომელიც მისმა ნათესავმა გოგონამ სცენიდან წაიკითხა... ფერად ლაბადებსა და თბილ სამოსში გამოწყობილი მსახიობების ეგზალტაციური რეფრენი - „მე გადმოვცურავ ზღვას!“ - ელექტროენერგიასავით მიეწოდება ძველი თუ ახალი თაობის მაყურებელს. მსახიობთა არტისტული თუ მუსიკალური ენერჯია თითქმის ხელახლა გვაიძულებს შევხედოთ „ცოცხალ თეატრს“, როგორც შთამბეჭდავი, გულწფელი პროტესტის გამოხატულებას.

ენერგიული მოძრაობები და ჟესტები, ოდნავ დაღლილი, მაგრამ გაუბზარავი ხმები ფინალში იკრებიან მთავარი გზავნილით - „თავისუფლება ანდრო ჭიჭინაძეს, თავისუფლება რეჟიმის ტყვეებს!“ - რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავად ჟღერს ტოტალური პოლიტიკური სიშლევისა და პოლიციის ძალადობის ფონზე.



სიმბოლურია, რომ მიუზიკლი „მე გადმოვცურავ ზღვას“ ირაკლი ჩარკვიანის მუსიკის ერთგვარი შეჯამებაა და ის ჟღერს დღეს ქუჩაში, მოედნებზე; ჟღერს გაბედულად, საპროტესტო სცენაზე და თან ცოცხლად... ბედის ირონია იქნება ირაკლის ბაბუის, 50-იან წლებში საბჭოთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის აჩრდილი დამცინავად, კომანდორივით გამოეცხადოს ქოცხელისუფლების ოლიგარქს და სანიმუშოდ გაუძღვეს იქ, „საიდანაც არცერთი მგზავრი უკან არ დაბრუნებულა“ (რამე ცუდი არ იფიქროთ, უბრალოდ ციტატაა „ჰამლეტიდან“).

მიუზიკლი საინტერესოა იმიტაც, რომ მასში ზუსტად იკითხება გასული საუკუნის 80-იანი წლების საბჭოთა საქართველოს, ანუ „ზასტოის“ ეპოქის, ნიშნები. საინტერესოა, რომ წარმოდგენა იწყება კონკრეტული დროის მინიშნებით - 1980 წლის მოსკოვის ზაფხულის ოლიმპიადის აღლუმისთვის მზადებით და მთავრდება ასევე კონკრეტულ დროს - 1989 წელს, ეროვნული მოძრაობის გამოღვიძებისა და მანიფესტაციების პერიოდით.

დავით დოიაშვილის ინტერპრეტაციით, მიუზიკლის მთავარი პერსონაჟები თავის თავში ატარებენ არა იმდენად საბჭოთა საქართველოს „უძრაობის“ დროის ნიშნებს, არამედ დღევანდელი ახალგაზრდების საპროტესტო მზერას, თავიანთი პიროვნული დრამებითაა და პრობლემებით. ირაკლი ჩარკვიანის მუსიკა და ქეთათო პოპიაშვილის კომპოზიციები თითქოს ამ „უძრაობის“ მთავარი ამაჩქარებელია, გარდასული დროის ერთგვარი ესთეტიკური კატალიზატორი, რომელიც დაახლოებით ოცამდე მუსიკალურ ნომერსა და სიმღერას მოიცავს და, გარდა ამისა, მთავარ სიუჟეტურ ხაზებს უკარნახებს რეჟისორსა და დრამატურგს.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, თითქმის 70 წლის დაგვიანებით გაცოცხლებული „ლივინგ თეატრი“ საქართველოში დღეს ბევრად უფრო უფრო შთამბეჭდავად, ზუსტად აირეკლავს მოვლენებს, ვიდრე წლების წინ დისიდენტურად შერაცხული ბრეხტი და შექსპირი სამუზეუმო სივრცედ ქცეულ რუსთაველის თეატრში. იმიტომ, რომ გარდასული თაობების შიში იქ რეაქციულ სოციალურ წაობად დაგუბდა, ხოლო „შიში ნთქავს სულს“ (ეს დიდი გერმანელი კინორეჟისორის, რაინერ-ვერნერ ფასბინდერის, ფილმის სათაურია).

საბედნიეროდ, „ახალი თეატრისა“ და ახალი თაობის დღევანდელი საპროტესტო მანიფესტი აღარ სცნობს შიშს, რადგან წარსულში დაბრუნება გამორიცხებულია და დაუშვებელიც. „ცოცხალი თეატრი“ არა მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში არღვევს საზღვარს კონფორმიზმსა და მემამბოხეობას შორის, არამედ სრულიად კონკრეტულად მიუთითებს სისტემის კრიზისსა და კვდომაზე... ანდრო ქიქინაძე და კიდევ ბევრი არტისტი, მხატვარი თუ მწერალი ისევ ციხეში რჩება. ხოლო „ახალი თეატრი“ ისევ ქუჩაში და ცოცხალი პერფორმანსით აპირებს გაამხნევოს და საბოლოოდ გამოიხსნას რეჟიმის ტყვეები...

ჩვენ გადმოვცურავთ ზღვას, ხოლო შიში ვეღარ შენთქავს სულს.



**ენერგიული მოძრაობებში და
ელსებში, ოდნავ დალოილი,
მავრამ გაუზზარავი ხებში
ფინალში იკრიზება
მთავარი გზავნილით -
„თავისუფლება ანდრო
ქიქინაძეს, თავისუფლება
რეჟიმის ცყუეებს!“ - ჩაც
კიდევ უფრო შთამბეჭდავად
ელერს ცოცხალი
ქოლიციკური სიშლოვისა
და ქოლიციის ძალადობის
ფონზე.**



www.akhaliiveria.ge

ბედს კაცი თვითონ ქმნის და
არა ბედი კაცსა

